საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴥⴃⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴥⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

ხუთშაბათი, 30 მაისი. 2019 წ. №107 (8773) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ვოლოდიმირ ზელენსკიმ სიფთა პოლიტიკურ-კომიკური ნაბიჯი დამნაშავე სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის დაბრუნებით გადადგა და პოლიტიკურადვე დაითარსა როგორც საკუთარი შოუმენური თავი, ისე სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააყენა დიდი უკრაინელი ხალხი!

ივანიშვილის ფენომენი და აგრესიული ოპოზიცია ③

სიმართლე და პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა



თაღლითური კონკურენცია და მომხმარებლების გაყვლეფა ⑤

დურსუნ ჰასანოვი:

ყველა საკითხი მოგვარდება, საქართველო და აზერბაიჯანი ძმები არიან

საქართველოში აზერბაიჯანის ელჩ დურსუნ ჰასანოვის განცხადებით, დავითგარეჯის საკითხი „საკეთილდღეოდ გადაწყდება". ამის შესახებ ელჩმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჟურნალისტებს განუცხადა.

„საქართველოსა და აზერბაიჯანის სამთავრობო კომისიები მუშაობენ, საგარეო საქმეთა უწყებები მუშაობენ, ბევრი შეხვედრა იმართება მესაზღვრეებსა და დიპლომატებს შორის. ყველა საკითხი მოგვარდება, საქართველო და აზერბაიჯანი ძმები არიან და ეს თემაც საკეთილდღეოდ გადაწყდება", — განაცხადა ჰასანოვმა.

„როდემდე უნდა ვამტკიცოთ, რომ გვაქვს 12-პროცენტიანი უმუშევრობა" ④ – არ არის ეს ასე!..

რუსეთის მილიონიანი ქალაქები მოსკოვს განვითარებით 100 წლით ჩამორჩებიან 8

პუტინის პირადი ცხოვრება და სიტყვის თავისუფლება რუსეთში

არ იცი? - გასწავლით, არ გინდა? - გაიძულებთ! ⑨

თამარ მეფიდან წმინდა ნინომდე!

თამარ მეფიდან წმინდა ნინომდე – 1 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტი იმ გზას გაივლის, რომელიც საქართველოს განმანათლებელმა გაიარა, – ამის თაობაზე სალომე ზურაბიშვილმა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაზე განაცხადა.

„ამ გზებით ევროპელები მიხვდებიან, რამდენად ევროპულია საქართველო. ეს მარშრუტები მნიშვნელოვანია როგორც კულტურული და ტურისტული კუთხით, ასევე ეკონომიკური და რეგიონული თვალსაზრისითაც.

„ეს მარშრუტები ჩვენი რეგიონების აღმოჩენა იქნება, რადგან ეს არის რეგიონების პირდაპირი და სწორი განვითარების გზა. ამ მარშრუტების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს არქეოლოგიის, ტრადიციების, რელიგიის მიმართულება, რადგან დღეს ევროპაში პილიგრიმობის გზით ბევრი ადამიანია დაინტერესებული და მეც ვაპირებ, 1 ივნისს წმინდა ნინოს გზა გავიარო!“ – თქვა ზურაბიშვილმა.

მადლობის სიგელი „ისრაელის სახლს“

საქართველოს **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ღონისძიება – „კულტურული მარშრუტები – საქართველო, ევროპა“ ჩატარდა.**

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, პარლამენტარები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ევროსაბჭოს სერტიფიცირებული კულტურული მარშრუტების კურატორები, ეროვნული მიზეუმის ხელმძღვანელობა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიმართა. მან ისაუბრა მსოფლიოსთვის საქართველოს გაცნობის საქმეში კულტურული მარშრუტების მნიშვნელობაზე და დასძინა, რომ „საქართველომ მსოფლიოს თავი კულტურული მემკვიდრეობითაც უნდა გააცნოს“.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ლევან ხარატიშვილმა სამინისტროს ინიციატივით მომზადებული მობილური აპლიკაციის პრეზენტაცია გამართა. აპლიკაცია, რომელშიც საქართველოს კულტურული მარშრუტებია მოცემული, შექმნილია ანდროიდ პლატფორმისთვის. მისი დახმარებით ნებისმიერ მსურველს შეეძლება თავად დაგეგმოს ვიზიტი სერტიფიცირებული კულტურული მარშრუტების ფარგლებში. მომდევნო ეტაპზე აპლიკაცია IOS პლატფორმისთვისაც მომზადდება.

ღონისძიებაზე სერტიფიკატები და მადლობის სიგელები გადაეცათ საერთაშორისო და ახალი კულტურული მარშრუტების მმართველ ორგანიზაციებს, მათ შორის „ისრაელის სახლს“ (ხელმძღვანელი: იციკ მოშე), რომელიც 2017 წლიდან ევროსაბჭოსთან არსებული ებრაული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა დახელშეწყობის ევროპული ასოციაციის (AEPJ) წევრია და საქართველოში ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტს კურირებს. „ისრაელის სახლის“ წარმომადგენელს გიორგი ბერნშტეინს „მადლობის სიგელი“ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ლევან ხარატიშვილმა გადასცა.

ქეთევან ციხელაშვილმა მავთულხლართები ბერლინის კედელს შეადარა

საქართველოს **სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილმა პორტუგალიის ქალაქ კაშკაიშში, საერთაშორისო კონფერენციაზე – "ESTORIL CONFERENCES - GLOBAL CHALLENGES, LOCAL ANSWERS", საქართველო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ვითარებაზე და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ რუსეთის პოლიტიკაზე ისაუბრა.** ციხელაშვილმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის მიერ მავთულხლართების აღმართვა ბერლინის კედლის მშენებლობას შეადარა და განაცხადა, რომ რუსეთის მიზანია ყველანაირად ხელი შეუშალოს იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ ისწრაფვიან.

„ბერლინის კედლის დაცემა ჩვენთვის წარმოადგენს შთაგონების წყაროს, რომ ახალი კედლები, რომლებიც საქართველოში რუსეთის მიერ არის აღმართული, იგივე ბედს გაიზიარებს. ეს კედლები არის მავთულხლართები, რომლითაც შემოსაზღვრულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის. ისინი გადის ასზე მეტ სოფელზე და ერთმანეთისგან ჰყოფს აქ მცხოვრებ ადამიანებს. გარდა გაყოფისა, მოსკოვი ადგილზე რეგიონის რუსიფიკაციის მცდელობას ახდენს. ყველაზე ცნობილი ხერხი, რომელსაც კრემლი იყენებს, უკანონო პასპორტიზაციაა.

მოსკოვს უნდა, რომ ეს მეზობელი ქვეყნები რუსეთის ორბიტაზე დარჩნენ და არ გადაუხვიონ უფრო სასურველი მიზნების მისაღწევად, მაგალითად, როგორიცაა ევროკავშირი და ევროატლანტიკური ინსტიტუტები. სწორედ ამიტომ საქართველოსთვის ეს არა მხოლოდ არჩევანი, არამედ თავისუფლებისთვის ბრძოლაა და ამის დათმობას არ ვაპირებთ“, – განაცხადა ციხელაშვილმა.

ადა მარშანია: პარლამენტის დარბაზის ჰარმონიული დაგეგმარება დარღვეულია!

პარლამენტის სხდომათა დარბაზში ხმაურის გამო დეპუტატმა ადა მარშანიამ ყურსასმენები მოითხოვა.

ადა მარშანიამ ყურსასმენები იმ დროს მოითხოვა, როცა სესიაზე კახა კუჭავა დეპუტატებს თბილისის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული თემატური ჯგუფის დასკვნას აცნობდა. ადა მარშანიამ სიტყვა მოითხოვა და განაცხადა რომ დარბაზის გახმოვანების პრობლემის გამო ხმა ძალიან ცუდად ისმის.

„სერიოზული და სავალალო თემა და საკითხია ჰაერის დაბინძურება ჩვენს ქვეყანაში, არ ვიცი, რა არის ამაზე საინტერესო ჩვენთვის და ძალიან ცუდად ისმის ხმა დარბაზში. ეს არა მხოლოდ ხმაურის ბრალია. როდის დაადგება საშველი დარბაზის გახმოვანებას. ჰარმონიული დაგეგმარება, იცით თქვენ, დარღვეულია. ამ დარბაზში გავატარე ჩემი ცხოვრების ნახევარი, სამწუხაროდ, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ. ძალიან გთხოვთ, სხდომის ყურსასმენები დაგვირიგეთ, წესიერად რომ მოვუსმინოთ მეტად მნიშვნელოვან და სერიოზულ მოხსენებას“, – განაცხადა ადა მარშანიამ.

„პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატს სხდომის წამყვანმა, პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა უპასუხა.

„აბსოლუტურად გეთანხმებით, საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი, მგონია, ყველას გვაინტერესებს, საზოგადოებასაც აინტერესებს. დარბაზში ხმის თემას რაც შეეხება, ტენდერის საჭიროებიდან გამომდინარე, საშემოდგომო სესიიდან ეს პრობლემა მოგვარდება. მანამდე უნდა ვიმუშაოთ ამ რეჟიმში. იმისთვის, რომ ხმის პრობლემა არ ჰქონდეს, აპარატს ვთხოვ, რომ მიაწოდოს ყურსასმენები პარლამენტის წევრებს, ვისაც სჭირდება“, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

მთაწმინდაზე შუალედური არჩევნების მეორე ტური 402 673 ლარი ჯდება

მთაწმინდის **ოლქში შუალედური არჩევნების მეორე ტურის ჩატარება 402 673 ლარი ჯდება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი დამტკიცდა.**

დაფინანსების ძირითადი ნაწილი – 288 554 ლარი შრომის ანაზღაურებას მოხმარდება, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე 90 708 ლარი დაიხარჯება, სხვა ხარჯებისთვის კი 23 411 ლარია გათვალისწინებული.

მთაწმინდის ოლქში პარლამენტის შუალედური არჩევნების მეორე ტური 9 ივნისს გაიმართება. მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებენ შალვა შავგულიძე („ევროპული საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“) და ვლადიმერ კახაძე („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“).

ლევან დავითაშვილი: შიდა ქართლში სეტყვის შედეგად დაზარალებული ფერმერები მიიღებენ 200-ლარიან ვაუჩერებს

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი შიდა ქართლის გუბერნატორთან გიორგი ხოჯევანიშვილთან ერთად შიდა ქართლში სეტყვის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან შესახვედრად დახმარების კონკრეტული წინადადებებით ჩავიდა.**

„ზარალი დიდია და შესაბამისად, გასაგებია ფერმერების გაღიზიანება და ემოციური ფონი. ჩვენ შევძელით მყისიერი დახმარების რესურსის მობილიზება, რაც უკავშირდება მრავალწლიანი კულტურების გადარჩენას.

გვქონდა შეხვედრა საფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკების წარმომადგენლებთან. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, ინდივიდუალურად განიხილონ ყველას საქმე და მოხდეს სესხების რესტრუქტურიზაცია. ასე,რომ საბანკო სექტორთან შეთანხმება მიღწეულია.

ასევე უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა. ჩვენ დავიწყეთ აღნიშნული საკითხების განხილვა და მოლაპარაკებები სპეციალური პროგრამების ამოქმედების თაობაზე.

ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას მიწის რეგისტრაციის თემაზე. ამ საკითხს პრემიერ-მინისტრი განსაკუთრებულ პრიორიტეტად განიხილავს. ასევე მინდა, კვლავ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დაზღვევა არის ზარალის მინიმუმამდე დაყვანის გარანტია. სახელმწიფო აგროდაზღვევის პროექტი ყოველწლიურად იხვეწება და 2020 წელს მაქსიმალურად იქნება ფერმერების ინტერესებზე მორგებული. იმისათვის, რომ დაზღვევა უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტიანი იყოს, მნიშვნელოვანია საყოველთაო ელემენტის შემოტანა. რაც უფრო მეტი ფერმერი ჩაერთვება პროგრამაში, მით უფრო გაიაფდება სადაზღვევო პაკეტი და, ასევე, გაგრძელდება სახელმწიფოს კომპონენტიც“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა გორში სეტყვით დაზარალებულ ფერმერებთან შეხვედრაზე.

ივანიშვილის ფენომენი და აგრესიული ოპოზიცია

სიმართლე და პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა

რა კონკრეტული პროგრამა აქვს გაერთიანებულ ოპოზიციას ბევრისთვის ბოლომდე არ არის ნათელი. გარდა იმისა, რომ, ბ. ივანიშვილი უნდა წავიდესო, ამასთან ერთად, არ აღიარებენ მისი მმართველობის პერიოდში ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების პროგრესს. თუმცა, ამავე დროს, მშვენივრად სარგებლობენ ქვეყანაში არსებული ყველა ამ დემოკრატიული კეთილდღეობით და საოცრად კომფორტულად გრძნობენ თავს: აქვთ საკუთარი ოფისები, გაზეთები, ტელევიზიები, რადიომაუწყებლობა, ენჯოები და სხვ. მთელი ამ პროცესის პარადოქსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიცია ქვეყნის ამ დემოკრატიულ მონაპოვარს, ძირითადად, მისი მთავარი შემოქმედის წინააღმდეგ მიმართავს: ადგილი აქვს გაუთავებელ ცილისწამებას, ხშირად ღია ეთერში არაეთიკურ გამონათქვამებს, არაადამიანურ ლანძღვა-გინებას და ა.შ., რასაც მისი ავტორები ცინიკურად, ისევ დემოკრატიით, აზრის გამოხატვის თავისუფლებით ამართლებენ.

კრიტიკას ვერ უძლებს ოპოზიციის პროპაგანდისტული საინფორმაციო საშუალებები, მათ შორის, ყველაზე ნაკლებად ეფექტური და დამაჯერებელია ტელევიზია, თავისი შეუცვლელი და მუდმივი კადრებით, ერთი და იმავე, ნეგატიური ნარატივებით, რაც, როგორც სჩანს, მაყურებელთა მხოლოდ ვიწრო წრეს აკმაყოფილებს. ოპოზიციის ყველაზე დიდი შეცდომაა, რომ არ გააჩნია პროგრამული მიდგომა და ყოვლად უშედეგო და ფუჭ პროპაგანდას ეწევა, იმ პიროვნების წინააღმდეგ, რომელსაც იმდენი კარგი და კეთილი საქმე აქვს გაკეთებული ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ნამდვილად აქვს დიდი ავტორიტეტი და ხალხის მხარდაჭერა. ამჟამად გაერთიანებულ ოპოზიციას არ ყავს ერთი, გამოკვეთილი (ქარიზმატული) ლიდერი, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რამდენადაც ბ-ნი გრიგოლ ვაშაძე და ქ-ნი თაკო ჩარკვიანი ცხადია, ამ საქმისთვის ნამდვილად ვერ გამოდგებიან, ხოლო მათი ყოფილი ლიდერი, თავისი წარსულით, ძველი სტერეოტიპებით და ქარაფშუტული ფანტაზიებით აბსოლუტურად უპერსპექტივო და ყავლგასულია.

რაც შეეხება იმ 800 000 ამომრჩევლის ხმას, რითაც გაერთიანებული ოპოზიცია განსაკუთრებით იწონებს თავს, ეს არ არის რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტიის მყარი ელექტორატი, რის გამოც იგი არაპროგნოზირებადია და არავინ იცის, როგორ მოიქცევა რაღაც კონკრეტულ ვითარებაში. ხოლო, რაც შეეხება ახლად აღმოცენებულ საზოგადოებრივ მოძრაობას „დაიცავი საქართველო“, აქაც სრული ბუნდოვანება და გაუგებრობაა. ამბობენ, რომ არ დაუშვებენ ძველი რეჟიმის რევანშს, ამავე დროს, მხარს არ უჭერენ მმართველ პარტიას, ხოლო ვის უჭერენ მხარს, ამასაც ვერ ამბობენ... ალბათ, რაღაც მითურ ახალ ძალაზე ოცნებობენ.

შეიძლება თამამად თქმა, რომ ოპოზიცია ამ ეტაპზე სუსტად და ინფანტილურად გამოიყურება. რაზედაც პირდაპირ მიუთითებს ქვეყანაში ცოტა ხნის წინათ ჩატარებული შუალედური არჩევნები გაერთიანებულმა ოპოზიციამ პირწმინდად რომ წააგო.

უკანასკნელ დროს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებამ, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, მაგრამ კანონის უზენაესობის სისტემაზე ბოლომდე გადასვლას მანც ვერ ვახერხებთ. მიუხედავად ამისა, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან დიდი მხარდაჭერა გვაქვს. ამის მაჩვენებელია ქვეყნის ყოველმხრივი ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში, სტრატეგიული თანამშრომლობა აშშ-თან, შენგენის ქვეყნებში უვიზო რეჟიმი და სხვ. ზემოთ აღნიშნული, რა თქმა უნდა, ქვეყნის მმართველი ძალის და მისი ხელმძღვანელობის უშუალი დამსახურებაა, სადაც განსაკუთრებით გასათვალიწინებელია ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი. დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ, უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ამჟამად ივანიშვილი რჩება იმ ერთადერთ ძალად, რომელიც არ უშვებს ქვეყანაში ანტიდემოკრატიული, ავტორიტარული მმართველობის დამკვიდრებას, ანუ იმ რეჟიმის კვლავწარმოქნას, რომელიც გარდაუვალია ჩვენნაირი ქვეყნისთვის, საშუალო ფენის არარსებობისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის სიღარიბის გამო“.

ქვეყნის მართვაში ბიძინა ივანიშვილის აქტიური მონაწილეობა, რაც არ უნდა კრიტიკას იმსახურებდეს, ფაქტია, მან წლების განმავლობაში შეძლო, ქვეყანაში შეენარჩუნებინა ყველაზე მთავარი — სიმშვიდე და სტაბილურობა, ხელი შეუწყო დემოკრატიული ინსტიტუტების ყოველმხრივ განვითარებას, ეს იმ დროს, როცა ამის ფუნდამენტური რესურსები არ არსებობდა (სუსტი ეკონომიკა, სიღარიბე, დანაწევრებული ქვეყანა და სხვ). დასანანია, რომ ამას ყველაფერს ვერ ხედავენ, მისი პოლიტიკური ოპონენტები, გამუდმებით ავრცელებენ რაღაც აბსურდებს, „ივანიშვილმა უკანონოდ ხე გადარგოო“, ამავე დროს ვითომ ვერ ხედავენ (ან არ უნდათ, რომ დაინახონ) იქვე შესანიშნავი დენდროპარკი რომ გააშენა, ის კი არა, იმასაც ვერ ხედავენ, რომ ქვეყანა ძველი რეჟიმისგან განსხვავებით, სულ სხვა განზომილებაშია გადასული და დემოკრატიულად ვითარდება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არ ნიშნავს ხალხის საყოველთაო კეთილდღეობას, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია, ამავე დროს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის დემოკრატიული წყობა კარგი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი მმართველი პარტიის თავმჯდომარეა და ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვანი პასუხისგებლობა აქვს, ოპონენტები მას მაინც ეგრეთ წოდებულ „არაფორმალურ მმართველობაში“ ადანაშაულებენ. ამავე დროს მისი აქტიური მონაწილეობა ქვეყნის მართვაში (რომლის ანალოგები არსებობს სხვა ქვეყნებშიც) შეიძლება გარკვეულ კრიტიკას იმსახურებდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ბევრად უკეთესია, ვიდრე ყოველგვარი ანტიდემოკრატიული, ავტოკრატიული მმართველობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულში. სწორედ ქვეყნის მართვის „ივანიშვილისეული ფენომენის“ წყალობით საქართველო სამართლიანად არის აღიარებული უფრო თავისუფალ, დემოკრატიულ და კანონის უზენაესობის მაღალი ხარსხის მქონე ქვეყნად პოსტსაბჭოური სივრცის და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებთან შედარებით.

და ბოლოს: მოგეხსენებათ, ქვეყანაზე არაფერი არ არის მუდმივი. მიუხედავად ქვეყნის ამჟამინდელი კონსტიტუციისა, მაინც ძნელად პროგნოზირებადია , პოსტ-ივანიშვილის პერიოდში რა გზით წავა ჩვენი ქვეყანა. შეინარჩუნებს თუ არა დემოკრატიული ქვეყნის იმიჯს თუ ის სხვა ანტიდემოკრატიული გზით განვითარდება? ამიტომ, ეს უკანასკნელი, რომ არ მოხდეს, ახლა ქვეყანაში განსაკუთრებული, მკვეთრი, რაიმე სახის პოლიტიკური რყევები ყოვლად დაუშვებელია (რიგგარეშე არჩევნები, საარჩევნო სისტემის ცვლილებები და სხვ). უფრო გონივრულია, მივყვეთ იმ ციკლს, რაც არის კანონით და კონსტიტუციით განსაზღვრული, ხოლო დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ბონდო ქოგულია,
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ფოთში ახალი ნავსადგური აშენდება

ძალაძის მერიის ინფორმაციით, პროექტის პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება 250 მილიონი ამერიკული დოლარია. ახალი ნავსადგურის მშენებლობის სამუშაოები ევროპული ინვესტიციებით განხორციელდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანების თანახმად, დამტკიცდა ფოთში, საზღვაო ნავსადგურის ჩრდილოეთით ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

როგორც მერიაში აცხადებენ, სიახლე მნიშვნელოვანია როგორც ქალაქისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ასევე დასაქმების კუთხით.

„დღეს ჩვენი მთავარი საზრუნავია, ხელი შევუწყოთ ახალი ნავსადგურის მშენებლობას, სწორად დავგეგმოთ ქალაქის სივრცითი განვითარების პრიორიტეტები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარკინიგზო და საავტომობილო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება“, — განაცხდა ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ.

ნახევარი მილიონი ლარი ზღვაში ჩაიყარა?!

2016 წელს სახელმწიფომ ნახევარი მილიონი ლარი (იმ დროის კურსით დაახლოებით 208 ათასი დოლარი) გაფლანგა თბილისის ზღვის საინვესტიციო პოტენციალის კვლევაში. ინფორმაციას ამის შესახებ „ფლანგვის დეტექტორი“ ავრცელებს.

„ფლანგვის დეტექტორის“ ინფორმაციით, ხელისუფლებამ კვლევის გამოუყენებლობაზე წინასწარ იცოდა, რადგან ეს ტერიტორია სანიტარიული დაცვის ზონაშია და მშენებლობა აკრძალულია. 2017-18 წლის გენგეგმაშიც თბილისის ზღვა სასმელი წყლის რეზერვუარადაა აღნიშნული და განსაკუთრებულად დაცულია. არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ გაუგებარია, რისთვის დასჭირდა მერიას ამ უსარგებლო კვლევის ჩატარება. მათი შეფასებით ეს ნახევარი მილიონი ლარი, ფაქტობრივად, წყალში გადაიყარა. თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ ეს ფაქტი კახა კალაძის მერობის დროს არ მომხდარა და დეტალების შესახებ ინფორმაცია არა აქვთ.

მასშტაბური ღონისძიებები ბავშვთა დღეს მიეძღვნება

დედაძალაძის მერის კახა კალაძის განცხადებით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისში სხვადასხვა ღონისძიება იგეგმება. ამის შესახებ მან მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა 1 ივნისს, მთავარი საბავშვო ზეიმი ვაკის პარკში ჩატარდება და 12-დან 18 საათამდე გაგრძელდება.

„ყოველდღიურად რასაც ვაკეთებთ, კეთდება იმისთვის, რომ ჩვენმა შვილებმა, მომავალმა თაობებმა იამაყონ და იცხოვრონ ძლიერ საქართველოში, ლამაზ თბილისში, რომელიც ყველანაირად მოწესრიგებული იქნება. ამ დღესთან დაკავშირებით, დედაქალაქის მერია საკმაოდ მასშტაბურ ღონისძიებებს აწყობს. მთავარი საბავშვო საზეიმო სივრცე ვაკის პარკში იქნება, სადაც 12-დან 18 საათის ჩათვლით, სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებაა დაგეგმილი. მინდა, მივმართო მშობლებს, ბებიებს, ბაბუებს, მოიყვანოთ შვილები, შვილიშვილები და ერთად გავერთოთ“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა. მისივე თქმით, თბილისის ყველა გამგეობას სხვადასხვა საბავშვო აქტივობა აქვს დაგეგმილი.

„გარდა ამისა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წინ, 13-19 საათამდე, გაიმართება სასახლის აღსაზრდელების კონცერტი. ასევე, თბილისის ყველა რაიონში გამგეობები სხვადასხვა ღონისძიებას გეგმავენ. ეს ერთი დღე ბავშვებს ვაჩუქოთ და გავულამაზოთ. ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ ისიამოვნონ“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კოტე აფხაზის ქუჩაზე მწვანე ავტობუსი იმოძრავებს

ახალი, მწვანე MAN-ის მარკის ავტობუსები №71 მარშრუტზე გავიდნენ. აღნიშნული მარშრუტი მცირედით შეიცვალა და ავტობუსები ბარათაშვილის ქუჩისკენ უკვე კოტე აფხაზის (ყოფ. ლესელიძის) ქუჩის გავლით იმოძრავებენ. აქამდე კოტე აფხაზის ქუჩას ავტობუსები არ ემსახურებოდა.

უახლოეს პერიოდში კოტე აფხაზის ქუჩაზე დამატებით №50 და №55 ავტობუსებიც ივლიან. სამივე მარშრუტი დედაქალაქის გარეუბნებს ბარათაშვილის ქუჩასთან აკავშირებს: №71 — ვარკეთილიდან, №50 ვაზისუბნიდან, ხოლო №55 — წმ. ბარბარეს უბნიდან მოძრაობს. ავტობუსებით მომსახურებისთვის კოტე აფხაზის ქუჩის 18, 32 და 47 ნომრებთან, ასევე თავისუფლების მოედანზე „საქართველოს ბანკის“ მიმდებარედ, გაჩერებები განისაზღვრა და შესაბამისი ნიშნები დამონტაჟდა. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის პირველი აგვისტოდან ლესელიძეზე ზონალურ-საათობრივი პარკირების ამოქმედება იგეგმება. ამიტომ დედაქალაქის მერიამ ქუჩის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების გადაწყვეტილება მიიღო.

„როდემდე უნდა ვამტკიცოთ, რომ გვაქვს 12%-იანი უმუშევრობა“ – არ არის ეს ასე!..

უმუშევრობის არაადეკვატურმა მაჩვენებელმა არათუ საზოგადოება, არამედ ხელისუფლებაში მყოფი თანამდებობის პირებიც კი შეაწუხა. სხვებთან ერთად ახლა უკვე ისინიც ითხოვენ, რეალური მდგომარეობა აისახოს ქვეყანაში და ეკონომიკური პოლიტიკაც ამის მიხედვით დაიგეგმოს.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის რომან კაკულიას განცხადებით, უმუშევრობის დათვლის არსებული მეთოდოლოგიით თავს ვიტყუებთ. ეკონომიკური პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში სწორი ნაბიჯებით ვერ ვითარდება.

„პირდაპირ ვამბობ, თავს ვიტყუებთ, იმიტომ, რომ, როდესაც ამას საფუძველი ჩაეყარა, მე მაშინ სახელმწიფო მოხელე ვიყავი. წინა ხელისუფლების დროს მოხდა. ამას მაშინ სულ სხვა მიზანი ჰქონდა. ქვეყნის მონაცვლეობას განვითარებული ქვეყნების რიგში და კიდევ მთელი რიგი სიკეთეები მოჰყვება ხოლმე. ეს ახლა სხვა თემაა. მთელი უბედურება აქ ის არის, რომ, როდესაც არასწორი სურათი გაქვს, არასწორად იგეგმები.

მე ვხედავ, რომ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ვერ დგამს სწორ ნაბიჯებს სწორედ ამის გამო. 12% და 13%-იან უმუშევრობაში შეიძლება სულ სხვანაირად მოგვარდეს საქმე. ოპოზიცია ამბობს, რომ დავწიოთ გადასახადები,

რადგან ყველაფერს ეშველება, მართლაც, რომ დავწიოთ გადასახადები და 12%-მდე ჩამოვიყვანოთ, თუ უმუშევრობა 40%-მდეა, მაშინ ეს ამას არ უშველის. აქ სახელმწიფოს მხრიდან სულ სხვა ჩარევებია საჭირო“, – განაცხადა კაკულიამ.

„საქსტატის“ ცნობით, რომ 2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2017 წელთან შედარებით 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12,7 პროცენტი შეადგინა. როგორც უწყებაში აღნიშნავენ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად ხდება, რომ დაქირავებულთა რაოდენობამ თვითდასაქმებულებს გადააჭარბა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ბოლო ცხრა წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია შეინიშნება. ამასთან უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს.

რომან კაკულია ამბობს, რომ თვითდასაქმებულთა კრიტერიუმი, რომლითაც „საქსტატი“ ხელმძღვანელობს, ვითარებას სხვაგვარად წარმოაჩენს და აბნევს საზოგადოებას.

„ჩვენ ძალიან გვაბნევს თვითდასაქმებულების კრიტერიუმი. არ შეიძლება, იყოს დაფარული სეგმენტები. ეს შემდეგში სწორად დაგეგმვის საშაულებას აღარ გაძლევს და რაც უფრო მალე მივალთ ჩვენ ამ სიმართლესთან, მით უფრო მალე იქნება სწორი ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა. ეს არის თემა, რომელსაც ზუსტად ესადაგება – „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ამ ილუზიაში ყოფნა, რომ ჩვენ გვაქვს 12%-იანი უმუშევრობა! არ არის ეს ასე“, – განაცხადა რომან კაკულიამ.

იმაზე, რასაც სახელმწიფო მოხელეები ახლა ამბობენ, დიდი ხანია საუბრობენ სპეციალისტები. სტატისტიკოს **გივი მომცელიძის შეფასებით,** რეალურად ქვეყანაში ძალიან მაღალი უმუშევრობაა და ცდომილება მეთოდოლოგიურ ხარვეზს უკავშირდება.

„კონსერვატიულად თუ გადმოვიტანთ მეთოდოლოგიას, ალბათ, ზუსტად ასახავს ვითარებას, მაგრამ ჩვენ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ. აშკარაა, რომ სერიოზული ხარვეზია და ცდომილებაც ციფრებში ამ ფაქტორით არის გამოწვეული. სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, მათ შორის ისეთი, რომელსაც წელიწადში 2-3-ჯერ შეიძლება რამე აქტივობა განეხორციელებინა თავის საკარმიდამო ნაკვეთში – დაებარა, მოეთოხნა და ა.შ. თვითდასაქმებულად ითვლება, რაც წარმოუდგენელია. ეს კატეგორია უნდა გამოირიცხოს. მეტიც, დარწმუნებით შემიძლია ვივარაუდო, რომ 40%-მდეც შეიძლება გვქონდეს უმუშევრობა, თუკი თვითდასაქმებულთა კატეგორიაში ადამიანებს განხორციელებული სამუშაოების მიხედვით სწორად განვსაზღვრავთ“, – აღნიშნა მომცელიძემ.

ბეჭა დანელია

თბილისში ზონალური საათობრივი პარკირება 1 აგვისტოდან ამოქმედდება

ზონალური საათობრივი პარკირება დედაქალაქში 1 ივლისის ნაცვლად, 1 აგვისტოს ამოქმედდება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მერის თქმით, საპილოტე პროგრამა სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგების კვალდაკვალ უნდა ამოქმედდეს.

„გასულ კვირას დედაქალაქის საკრებულომ დაამტკიცა ზონალური საათობრივი პარკირების წესი, რომლის ინიციატორიც არის თბილისის მერია. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამასთან დაკავშირებით და მინდა, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ამ ინიციატივის უმთავრესი მიზანია ქალაქში გარემოს დაბინძურების და საცობების შემცირება, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის როლის გაზრდა, რათა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისარგებლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ჩვენ ავტობუსების ჩანაცვლება უკვე დაწყებული გვაქვს და კონკრეტული ნაბიჯები არის გადადგმული. 90 ერთეული „მანის“ ავტობუსი შევიძინეთ და 40 ჩამოვა უახლოეს ერთ თვეში, თვენახევარში კი მოემსახურება დედაქალაქის მცხოვრებლებს. გარდა ამისა, 8-მეტრიან 220 ავტობუსზე ხელშეკრულება გაფორმებულია და აგვისტოს ბოლოს დაიწყება შემოსვლა და წლის ბოლოს დამთავრდება“, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, როცა საათობრივ პარკირებაზე გადავდივართ, საზოგადოებრივი ტრანსპორტი პარალელურად უნდა მისდევდეს ამ რეფორმას.

„კონკრეტულ ადგილებზე და კონკრეტულ ლოკაციებზე ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ სურვილი, რომ საკუთარი ავტომობილებით მივიდნენ, იმდენად პოპულარული და კომფორტული უნდა გავხადოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ. სატრანსპორტო სისტემის მოწესიგებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ზონალური პარკირება. მისი ამოქმედება დაგეგმილი იყო პირველი ივლისიდან, თუმცა როგორც გითხარით, ყველა შეძენილი ავტობუსი ადგილზე უნდა იყოს, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ზონალური პარკირება 1 ივლისის ნაცვლად, ამოქმედდეს 1 აგვისტოდან. ეს არის საპილოტე პროექტი“, – განაცხადა კახი კალაძემ.

მისივე ინფორმაციით, ზონალური საათობრივი პარკირება საპილოტე რეჟიმში თავდაპირველად კოტე აფხაზის (ყოფილი ლესელიძე) და აბანოთუბანში ამოქმედდება. თუმცა ზონალური პარკირების გადასახადი არ იმოქმედებს აღნიშნულ ქუჩებსა და უბნებში ადგილობრივ მცხოვრებლებზე და ასევე ელექტროავტომობილების მფლობელებზე.

რაც შეეხება გადასახადებს, მერის ინფორმაციით, საათობრივი პარკირების გადასახდელის გადახდა შესაძლებელი იქნება სწრაფი ჩარიცხვის აპარატებიდანაც. უახლოეს მომავალში კი შეიქმნება სატელეფონო აპლიკაციაც. როგორც კალაძემ აღნიშნა, მერიას ახალი ველოსიპედი არ გამოუგონებია და აღნიშნული რეფორმა სხვა დიდი ქალაქების საუკეთესო მაგალითების საფუძველზე ხორციელდება.

ავტობუსით უბილეთო მგზავრობისთვის ჯარიმა გაოთხმაგდა

საქართველოში **მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთო მგზავრობისთვის 5-ლარიანი ჯარიმა 20 ლარამდე იზრდება. საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა შესაბამის ცვლილებას „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომლის ავტორი გარემოს დაცვის კომიტეტია.**

მგზავრი ვალდებული იქნება, მგზავრობის დასაწყისიდანვე შეიძინოს ბილეთი ან ელექტრონული გადახდის საშუალებით გადაიხადოს მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხა. ამასთან, საურავის ოდენობა 50-დან 40-ლარამდე მცირდება.

სერტიფიცირებული ძიძები საქართველოში

საქართველოში ძიძობა სერტიფიცირებას დაექვემდებარება, მაგრამ ის ნებაყოფლობითი იქნება. **„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პროექტის განხილვა პარლამენტის კომიტეტებში უკვე დაიწყო. კანონპროექტის ავტორები ფიქრობენ, რომ ამით გაიზრდება ნდობის ხარისხი და, შესაბამისად, ძიძების ანაზღაურებაც.**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო კილაძის განცხადებით, ძიძად მომუშავე პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ იქნება. ჩანაწერის ერთადერთი მიზანია, მშობლებს, რომელთაც უნდათ დაიცვან თავიანთი ბავშვები, სახელმწიფომ უფრო მეტად შეუწყოს ხელი. გარდა ამისა, ძიძების სახელმწიფო დონეზე დახმარებაც გათვალისწინებულია.

„არავითარი სავალდებულო რეგისტრაცია და სამუშაოების შეზღუდვა არ იგეგმება. შემოსულია ინიციატივა, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ძიძების სავალდებულო რეგისტრაცია, რასაც მხარი არ დავუჭირეთ. ვინც საჭიროდ ჩათვლის გაიაროს სერტიფიცირება, სოცმუშაკი დაეხმარება მათ ამ საკითხის გადაწყვეტაში, მაგალითად, ბავშვზე ზრუნვა უფრო უკეთესი რომ იყოს ძიძის მხრიდან. ამის მიზანია იმ ადამიანებს, მშობლებს, რომელთაც უნდათ დაიცვან თავიანთი ბავშვები, სახელმწიფო უფრო მეტად შეუწყობს ხელს“, – აღნიშნავს კილაძემ.

როგორც ირკვევა, სწავლებასთან დაკავშირებით შემუშავებული იქნება სახელმწიფოს მხრიდან ერთიანი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, ძიძების სერტიფიცირება მოხდება. საკანონმდებლო წინადადების ავტორი **მაია რობაქიძე** ამბობს, რომ ძიძებს ტრენინგი ჩაუტარდებათ როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სამართლებრივი და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის კუთხით. მისი თქმით, რეესტრისა და სერტიფიცირებული ძიძების ინსტიტუტის ამოქმედება დაარეგულირებს ბაზარზე ძიძების მიმართულებით არსებულ აგრესიასა და ქაოსურ მდგომარეობას, ასევე გააქრობს იმ დისკომფორტს, რომელიც მშობლების უნდობლობიდან გამომდინარე, აღმზრდელებს აქვთ.

„სიახლიდან სარგებელს მიიღებს ორივე მხარე, ანუ მშობელს გაუჩენს ნდობას, რომელიც დღეს ძალიან იშვიათია. ისინი უფრო თამამად დაუტოვებენ ბავშვს ძიძებს, ხოლო მეორე მხრივ, ეს განაპირობებს მათი ანაზღაურების გაზრდასა და თვითდაჯერებულობას“, – აღნიშნა „საქმიან დილასთან“ საუბრისას კანონპროექტის ავტორმა.

პროექტის კიდევ ერთი ინიციატორი ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ამბობს, რომ კანონპროექტი საშუალებას მისცემს მოქალაქეს, რომელიც ამ საქმიანობითაა დაკავებული, საკუთარი თვითშეფასება აიმაღლოს. თუმცა, აქ მთავარია, რომ საკითხის აღსრულებას დამატებითი ბიუროკრატია, ფული და ა.შ. არ უნდა გახდეს საჭირო. ეს დამსაქმებლისთვის ზედმეტი ბარიერიც არ უნდა იყოს.

ეკა ბაძრაძე

ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲨᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲔᲜ!

ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ორგანიზაციებს მომხმარებლის შევიწროება, ზეწოლა შეურაცხყოფა აეკრძალებათ. ამის შესახებ, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის – კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის“ პროექტშია აღნიშნული. ამ მხრივ საქართველოში სრული განუკითხაობაა და წლების განმავლობაში მსესხებლები არანორმალური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ახალი კოდექსის მიზანია ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის – კრედიტის ამოღებისას მომხმარებლებთან ურთიერთობის საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული წესებისა და ჩვევების დამკვიდრების ხელშეწყობა.

დოკუმენტი ითვალისწინებს ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულებას სესხის - კრედიტის ამოღების პროცესში დაიცვას ზნეობისა და საქმიანი ურთიერთობების საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ნორმები და იმოქმედოს კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე.

როგორც ეთიკის კოდექსში აღნიშნულია, ფინანსურ ორგანიზაციას მომხმარებლების ვადაგადაცილებული სესხის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება აეკრძალება. გარდა ამისა, სებ-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებული იქნება, მომხმარებელს მხოლოდ მის მიერ მიწოდებულ რეკვიზიტებზე დაუკავშირდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ პირთან დაკავშირება დღის 10-დან 20 საათამდე პერიოდში უნდა მოხდეს.

საყურადღებოა, რომ დოკუმენტში გაწერილი მოთხოვნების შესრულება კოდექსის დამტკიცების შემდეგ ეროვნული ბანკის რეგულირებისა და ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სესხის გამცემი ყველა ორგანიზაციისათვის, მათ შორის, სესხის გამცემი სუბიექტისთვის სავალდებულო იქნება.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აღნიშნული დოკუმენტი მხოლოდ სამუშაო ვერსიას წარმოადგენს, რომელიც განხილვის პროცესში შეიძლება, შინაარსობრივი და ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს დაექვემდებაროს.

„კრედიტ ინფო საქართველოს“ ბაზაში მსესხებელზე ნეგატიური ჩანაწერი მართალია, მხოლოდ 5 წლის განმავლობაში რჩება, თუმცა სტატუსი **„იყო ნეგატიური“** საფინანსო ინსტიტუტების შიდა ბაზაში მუდმივადაა.

საფინანსო ორგანიზაციები კი სესხის გაცემისას გარდა „კრედიტ ინფო საქართველოს“ ბაზისა, შიდა ბაზით ხელმძღვანელობენ და სესხის გაცემის გადაწყვეტილებას მხოლოდ პირის საკრედიტო ისტორიის გაანალიზების შემდეგ იღებენ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ ყველა მსესხებელმა საფინანსო ორგანიზაციების მიმართ ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს, რათა მომავალში მას დამატებითი პრობლემები არ შეექმნას.

რატომ იზრდება პრობლემური სესხების რაოდენობა? ამის არაერთი მიზეზი არსებობს, მათ შორის, ყველაზე მთავარი ეკონომიკური მდგომარეობაა. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანების ქცევა, როდესაც ისინი სესხს არასწორი მიზნით იღებენ, მაგალითად, აზარტული თამაშებისთვის.

როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლენდოს“ აღმასრულებელი დირექტორი **მიხეილ ნონიკაშვილი** აცხადებს, პრობლემის შეფასების ასპექტში, ქვეყანაში ვადაგადაცილებული სესხების მოგვარების ორი გზა არსებობს.

„ორივე მიმართულებას გრძელვადიანი გადაწყვეტა აქვს: პირველი ესაა განათლების ამაღლება, უპირველეს ყოვლისა, ფინანსურ ნაწილში, ხოლო მეორე – ქვეყნის ეკონომიკის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და მომხმარებლის კრედიტგადამხდელუნარიანობის ამაღლებას“, – აცხადებს მიხეილ ნონიკაშვილი.

რამდენადაც აქამდე ჯერ კიდევ ბევრი გზაა გასავლელი, ამიტომ ჯერჯერობით საქმეში ეროვნული ბანკი ერთვება და სპეციალური კოდექსით აპირებს ველური ბაზრის თამაშის წესების შეცვლას.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲧᲕᲚᲔᲤᲐ

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ „ᲗᲘᲑᲘᲡᲘ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐᲡ“ ᲓᲐ „ᲘᲛᲔᲓᲘ L“-Ს ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ **კავშირის თანათავმჯდომარე ვასილ ახრახაძე „კომერსანტთან“ არაპროფილური ბიზნესების საკითხს აგრძელებს და „თიბისი დაზღვევის“ და „იმედი L“-ის ხელმძღვანელებს მიმართავს.**

როგორც ვასილ ახრახაძე აცხადებს, ეს საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში და როდესაც საუბარი იყო ინტერესთა კონფლიქტზე, ყოველთვის მოიაზრებოდა დამფუძნებლების, ამ შემთხვევაში ბანკის და სადაზღვევო კომპანიის აქციონერების დონეზე არსებული ინტერესთა კონფლიქტი.

ევროპის ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს იმის მაგალითები, თუ ეს საკითხები როგორ გვარდება. არსებობს შესაბამისი ევროდირექტივა, რომლის დანერგვასაც ევროკავშირი საქართველოსგან ითხოვს. საუბარია, ფინანსურ კონგლომერატებზე, სადაც შედის ერთი ან რამდენიმე ლიცენზირებადი ფინანსური ინსტრუმენტი. მაგალითად, სადაზღვევო კომპანია ან ბანკი და სხვა სფეროში ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც შესაძლებელია იყოს ასევე ლიცენზირებულები. როგორც ახრახაძე განმარტავს, ასეთი ტიპის ჰოლდინგების შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი რეგულაციები არსებობდეს.

მისი განმარტებით, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ „თიბისი ბანკსა“ და „თიბისი დაზღვევას“ შორის არ არის ინტერესთა კონფლიქტი, აქ ძალიან მარტივი მისახვედრია, რომ „თიბისი ბანკი“ არ არის უშუალოდ თიბისი დაზღვევის დამფუძნებელი, არამედ, თიბისი ჯგუფი არის ორივეს დამფუძნებელი. შესაბამისად, როდესაც საუბარია ინტერესთა კონფლიქტზე და ამის შედეგად სადაზღვევო კომპანიის და ბანკის გამიჯვნაზე, აუცილებელია მოხდეს ამ ორი ფინანსური ინსტიტუტის აქციონერების დონეზე გამიჯვნა.

„ბატონი პაატა ღაძაძის მოწოდება იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს და საბანკო არხებით პოლისების რეალიზაცია მიღებული პრაქტიკაა საზღვარგარეთ, მათ შორის აშშ-ში, ვეთანხმები. დიახაც, იქ საბანკო არხებში დიდი დოზით იყიდება სადაზღვევო პოლისები, თუმცა, არსებობს უმკაცრესი რეგულაცია, რომელიც ბანკს და მის აქციონერს პარალელურად სადაზღვევო ბიზნესის ფლობას უკრძალავს. ეს აკრძალული აქვთ რიგით თანამშრომლებსაც. შესაბამისად, ეს არის თვალებში ნაცრის შეყრა, როდესაც საუბრობენ და გვეუბნებიან, რომ ამერიკის მაგალითს შევხედოთ“, – აღნიშნავს ახრახაძე.

მისივე მტკიცებით, ამერიკაში ბანკს და მის აქციონერს აკრძალული აქვს პარალელურად სადაზღვევო ბიზნესის ფლობა. უფრო მეტიც, არსებობს ფინანსური სერვისების მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტო, რომელიც პარალელურად ამონიტორინგებს კომპანიებს სახელმწიფო დონეზე, რათა არ მოხდეს მომეტებულ ფასში, იგივე საბანკო არხებში სადაზღვევო პოლისების გაყიდვა. ასევე პრიორიტეტი ერთ ან ორ სადაზღვევო კომპანიას არ მიენიჭოს. ამით კი მომხმარებელი არ დაზარალდეს. ასევე ყურადღება ექცევა იმას, რომ ბანკმა არ მიიღოს ზედმეტი სარგებელი, არ მოხდეს ბანკის არხის გამოყენება მიკერძოებულად რომელიმე სადაზღვევო კომპანიის მიმართ. ან ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე, უზარმაზარი საკომისიოს მიღება.

როგორც ახრახაძე აღნიშნავს, სწორედ ამ ტიპის ინტერესთა კონფლიქტია „თიბისი ბანკსა“ და „თიბისი დაზღვევაში“. როგორც დაზღვევის კავშირის თანათავმჯდომარე განმარტავს, „თიბისი ბანკში“ „თიბისი დაზღვევის“ პოლისები, როგორც საცალო, ისე კორპორატიულ დონეზე, მომატებულ ფასში იყიდება.

„მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის პოლისები დაახლოებით ორჯერ ძვირად იყიდება, ასევე ქონების დაზღვევის პოლისებიც. როდესაც მომხმარებელი სესხს იღებს ბანკში, მომხმარებელი ხდება ფაქტობრივად უფლებაწართმეული არჩევანთან დაკავშირებით. მას აიძულებენ, რომ ბანკთან აფილირებული კომპანიიდან, ამ შემთხვევაში თიბისი დაზღვევიდან შეიძინოს პოლისი, რომელიც გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე თავისუფალ ბაზარზე“, – აცხადებს ახრახაძე.

მისი განცხადებით, აღნიშნული მაგალითები შეიძლება შეფასდეს როგორც არაჯანსაღი კონკურენცია და მომხმარებლების გაყვლეფა.

„ეს არის ბატონი ღაძაძის მხრიდან თვალებში ნაცრის შეყრა“, – აღნიშნავს ახრახაძე.

დაზღვევის კავშირის თანათავმჯდომარე „იმედი L“-ის გენერალურ დირექტორ გივი გიორგაძესაც ეხმაურება, რომელმაც „კომერსანტთან“ რამდენიმე დღის წინათ ექსკლუზიურად განაცხადა, რომ ის ბანკების მიერ სადაზღვევო კომპანიების მფლობელობაში პრობლემას ნაკლებად ხედავს. ახრახაძე გიორგაძეს მიმართავს და აცხადებს, მისი ეს განცხადება მიკერძოებული იყოო!

„იმედი L“, ისევე როგორც ამ შემთხვევაში „თიბისი დაზღვევა“ წარმოადგენს ერთიან ფინანსურ კონგლომერატს, რომელიც არის ჯორჯიან კაპიტალის სახით. ამ კომპანიის დამფუძნებელი არის ჯორჯიან კაპიტალი, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს როგორც ფარმაცევტულ კომპანიებს, ისე სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ს. ეს ყველაფერი თავს იყრის საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფში, მისი დამფუძნებელი კი „ჯორჯიან კაპიტალია“. აქაც იგივე სქემაა. თავის მხრივ ჯორჯიან კაპიტალი ასევე არის საქართველოს ბანკის დამფუძნებელი. შესაბამისად, აქაც გამოდის ერთიანი ფინანსური ინტერესი და კიდევ უფრო მძიმე ინტერესი, რადგან აქ უკვე ბანკის და სადაზღვევო კომპანიების აქციონერების ინტერესთან ერთად თანხვედრაში მოდის სამედიცინო და ფარმაცევტული ინტერესებიც, რომელიც კიდევ უფრო დამაზარალებელია მომხმარებლისთვის.

ამ შემთხვევაში ამ ქსელში, ამ ჯგუფში მოხვედრილი ადამიანი არის უფლებაწართმეული იმიტომ, რომ, თუ ის იღებს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს, მას ამისამართებენ ევექსში, აქედან ხდება გადამისამართება თავიანთ სააფთიაქო ქსელში, ეს კი ხორციელდება „იმედი L“-ის გავლით, რომელიც წარმოადგენს ამ ფარმაცევტული და სამედიცინო დაწესებულებისთვის მოზიდვის წყაროს. სამედიცინო დაწესებულება „იმედი L“-სთვის წარმოადგენს კლიენტების მოზიდვის წყაროს, თავისივე ფარმაცევტული და სამედიცინო სერვისის მიწოდებული ქსელისთვის, რომელშიც ხდება ამ ადამიანის დატრიალება და საერთო ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა ეს კომპანია, მათ შორის ფარმაცევტული, სამედიცინო, სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ი, ფინანსურად დაინტერესებულია, რომ რაც შეიძლება დიდი თანხები მოიხმარონ დაზღვეულებისგან და გამოსძალონ მეტი ფული შემდეგი სქემით: **დაზღვეული უნდა გაპაციენტდეს, მას უნდა დაენიშნოს არაერთი კვლევა, მედიკამენტები და ამ ყველაფერზე თვალი უნდა დახუჭოს სადაზღვევო კომპანიამ, რომლის ძირითად ფუნქციას მთელს მსოფლიოში დაზღვეულის გაპაციენტებისგან პრევენცია წარმოადგენს. ისევე როგორც სწორი დაფინანსების გაკონტროლება. ეს კი სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ნიშნავს სწორ მკურნალობას. როდესაც სადაზღვევო კომპანია სამედიცინო დაწესებულებებთან და ფარმაცევტულ კომპანიებთან ერთად ხდება ფინანსურად დაინტერესებული, ჯიბიდან რაც შეიძლება მეტი ფული გამოართვას დაზღვეულს, ეს უკვე გამოდის კარუსელი, რომლის დროსაც ფინანსურად ზარალდება მომხმარებელი, მეორე მხრივ, მის ჯანმრთელობას ზიანი ადგება.**

ᲘᲮ. 6 ᲒᲕ.

პარტიები ნეხვივით ყრია!

განვლილ **კვირა საღამოს ნიკა გვარამიას და ეკა კვესიტაძეს არანაკლებ სახიფათო გრიშა ვაშაძე ჰყავდათ სტუმრად „რუსთავი-2“-ში. სწორედ რომ სულის საცხონებელი საუბარი ჰქონდათ.**

მე შენ გეტყვი, რომელიმე მათგანი სიტყვისთვის ჯიბეში ჩაიყოფს ხელს. მიერეკებიან უგზო-უკვლოდ, უწერტილმძიმოდ. და რაც და რამდენიც უნდა ილაპარაკონ, აზრი ეს არის: ხელისუფლებას უკანასკნელი დღეები უდგას, თუ მანამდე არა, 2020 წლის არჩევნებში ოპოზიცია საბოლოოდ დაასამარებს „ოცნებას“, განსაკუთრებით და კონკრეტულად „უკვდავ კაშჩეის“ (ბიძინა ივანიშვილს)!

ერთი სიტყვით, მელიას (ნიკანორზე არ არის ლაპარაკი, ჩვეულებრივ მელაკუდაზეა!) რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. წააგეს ეს შუალედური არჩევნებიც, მაგრამ ვერაფრით მოინელეს. იმას კი არ იაზრებენ, რომ თვითონ წააგეს, არაო, წაგვაგებინესო, მოსახლეობას 200-200 ლარი ჩამოურიგეს და ხმები შეისყიდესო, ხალხი დააშინეს, რულოვსს ულაპარაკოდ უნდა მოეგოო.?აქ უზარმაზარი კითხვის ნიშანი ჩნდება: რულოვსს უნდა მოეგოო, მაგრამ რატომ უნდა წაეგო შენგელიას, რომელზეც ძვირსაც, როგორც „ოცნების“ კანდიდატზე, თვით გაერთიანებული ოპოზიციაც კი ვერ ლაპარაკობს!

ადგილობრივია, კარგი ოჯახის შვილია, განათლებული, ყოველმხრივ დადებითი... გინდა თუ არა, სანდრაო, რატომ, რაკი ხანდახან სააკაშვილის ცოლია? ამ ლოგიკით თვით სააკაშვილი რომ ჩამოვიდეს, ყველაფერი უნდა შემოვიგლიჯოთ და ავირჩიოთ, როგორც გვარამიამ მოგვიწოდა, ვიბრძოლოთ პოლიტიკური დევნილის სააკაშვილის დასაბრუნებლადო? მაგრამ ამ ჭკუაზე რომ აღარ არის ხალხი? ამას თანდათან, ნაბიჯნაბიჯ, თვით მიშა და „ევროპული საქართველოც“ მიხვდა. გვარამიას კი არაფრის გაგება არ უნდა?

თავმჯდომარე გრიშა სულ ლიტერატურაში გადაიჭრა – იგავ-არაკი, ანდაზა, აფორიზმი, გვარამიაული... ნაცების და ქოცების შედარებისას, მიგნებულად თქვა, „ბებიას რომ „რაღაცა“ ჰქონდეს, ბაბუა იქნებოდაო“, ან – „ჩამოვაშოროთ პლენქტონი“ ხელისუფლებასო (პლენქტონში – ოკეანის მიკროორგანიზმში ეს სელაპა კაცი ხალხს გულისხმობდა უთუოდ).საუბარი გამჭვირვალე ალეგორიით იყო შეზავებული – უკბილოდ, საღლაბუცოდ, ბოროტად, სწორედ რომ ნიკასებურად!

გენერალური დირექტორის შხამიან აზრებს დროდადრო „კომენტარს უკეთებდა“ ეკა კვესიტაძე, რომლის ეკრანზე ჯდომის, ანუ სტუდიაში ყოფნის აზრი და დანიშნულება ყოვლად გაუგებარია. გრჩება შთაბეჭდილება, ეს იმისთვის არის ჩაფიქრებული, რომ ხანდახან სიტყვა ჩააკვეხოს გვარამიას უკუღმართ აზრთმდინარებაში, ან როცა ნიკა უწმაწურ რამეს იტყვის (რაც ერთობ ემარჯვება) ხეპრულად, ანუ ვითომ მორიდებულად გაიცინოს (ქალბატონს დამიხედეთ!) და ამით შიშხათი შემატოს შეფის მდარე ანგლობას.

ახლა მიმოფანტულ ქვათა შეგრვოების ჟამია. ნაცების პარტიის თავმჯდომარემ გრიშავაშამ და მთელი სანაცეთის ჭიანურის „რუსთავი-2“-ის გენდირექტორმა ნიკა გვარამ უკვე მიმოფანტეს ქვები: იქვემძრომეს, იბილწეს, იცრუეს.

არაფერი გამოუვიდათ, თუმცა რაც შეეძლოთ, თვალებში ნაცარი აყარეს ხალხს. არ უნდა გაემარჯვათ და ვერც გაიმარჯვეს და ახლა იმ დამიზნებით ნასროლ ქვებს აქუჩებენ, რათა ფარცაგს არ ეწიონ და ფეხი არ წამოკრან სადმე, ან ვინმემ არ დაასწროს და ის ქვები ამათვე არ დაუშინოს.

ცალკე მათი მხარდამჭერნი ითქვამენ აფორიაქებულ სულს და სახვალოდ ემზადებიან. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ქართველმა მარია სპირიდონოვამ – თაკო ჩარკვიანმა ათასმეერთე სამკაციანი პარტია **„კანონი და სამართალი“** შეუყუდა ნაცმოძრაობის მორყეულ-დაფახფახებულ შენობას. სხვათა წაბაძულობით (უფროს ნაცმეგობრებზე მოგახსენებთ) გამოეფინებოდა ხოლმე იმ დალოცვილ გადასატან ტრიბუნაზე, ზურგს გაიმაგრებდა, ანუ უკან მოიყენებდა 3-4 თანაპარტიელს (მეტი არც ჰყავს) და განცხადებებს გვიშენდა, დაახლოებით ასეთს: ჩვენს გამარჯვებამდე ორი დღე დარჩა და დედა გეტირებათო. იმდენი ივაგლახა, იმდენი იწიკვინა, იმდენი იშხამკორა „რუსთავი-2“-ში თუ „ტვ პირველზე“, რომ სულ ხატია დეკანოიძეს დაემსგავსა. უბრალოდ, ერთმანეთისგან ვეღარ გაარჩევ!

როგორც ვთქვით, არჩევნებამდე მოასწრო და ახალი პარტია შობა, სახელიც მარჯვედ მოუძებნა, ოღონდ ეს სახელი მაინც ნაქურდალნაავაზაკარი გამოუვიდა.

ხედვა და ნიჭი ამაშიც არ ეყო.

საქართველოში, მოგეხსენებათ, 250-მდე პოლიტიკური მოძრაობა, კავშირი და პარტია ბოგინებს. ზოგის არსებობა მისი დამაარსებლის გარდა, კაციშვილმა არ იცის, ზოგი ვითომ არსებობს, მაგრამ სულს ღაფავს. ოღონდ, ამ 250 პარტიიდან ყოველ მეათეს მაინც სამართალი და სამართლიანობა აქვს მეკობრულ დროშაზე მიწერილი.

აი, ნახეთ, ჯერ კავშირები: გვაქვს **„სამართლიანობის აღდგენის კავშირი – ხმა ერისა – უფალია ჩვენი სიმართლე“** და **„ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირი“**...

ახლა გაერთიანებები – **მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება: სახალხო მოძრაობა „კანონი და სამართლიანობა“ და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერი, სიმართლე, მორალი“.**

პარტიები ხომ პირდაპირ ნეხვივით ყრია: **„თანხმობისა და სამართლიანობის კავშირი“** და **„ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირი“** (გთხოვთ, ერთმანეთში არ აგერიოთ, სხვადასხვაა, თანაც მეორის მამამძუძე ცნობილი გურამ აბსანძეა); **„ხალხთა მეგობრობა და სამართლიანობა“** და **სამართლიანობის პარტია (მემარცხენე ცენტრისტები)**. მისი შემქმნელი კი სამართლის დიდი მესაძირკვლე გენერალი იგორ გიორგაძეა; **დემოკრატიული სიმართლის პარტია** და **ქალთა პარტია „სამართლიანობა და თანასწორობა“**...

როგორც ხედავთ, ყველა ჯურის „სიმართლეა“ წარმოდგენილი, შენ ოღონდ გაბედე და აირჩიე. თაკო ჩარკვიანმა იმარჯვა, მართალია, პარტიის სათაურში ვიღაცას ცელქურად ჩაეზიარა, მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში აგრერიგად საყვარელი და აღიარებული **„სოციალისტური“ „დემოკრატიული“, „დამოუკიდებლობა“, „თავისუფლება“, „ქრისტიანული“, „კონსერვატიული“, „ეროვნული“, „წითელი“, „ყვითელი“, „მწვანე“** და ა.შ. არ გაიკარა.

ოღონდ, აი, შალვა ხაჭაპურიძის პოლიტიკურ გაერთიანებას **„კანონი და სამართლიანობას“**, რომელსაც 2001 წლის 14 ივნისს აქვს რეგისტრაცია გავლილი და ოფიციალურად 2010-2011 წლებში ცვლილებებიც შეუტანია, როგორც ხედავთ, პირდაპირ ტყუპისცალივით ჰგავს. ჰგავს კი არა, თაკოს აუღია და მოწონებული სახელწოდება უბოდიშოდ მიუთვისებია. ახლა თუკი „ ეს ქალბატონი ან შალვა არ ვიხილეთ ტრიბუნაზე შემდგარი თავ-თავისი 3-4-მხლებლებიანი ფონით, ვერასგზით ვერ გავარჩევთ, რომელი მოგვიწოდებს, ხელყუმბარებით შეუვარდით პოლიტიკურ მოწინააღმდეგესო.

ეს კიდევ რაა: „ოცნებისგან“ ეს-ესაა დიდი წივილ-კივილით განმდგარი ეკა ბესელიაც ქმნის პარტიას **„სამართლიანობისთვის“**. იურისპრუდენციაში გაწაფულმა ეკამ აიღო და სახელწოდება უკიდურესად შეკვეცა, რათა ვერავინ შეეცილოს ავტორობაში. თვით „სამართლიანობის“ მხრივ კი ჯერ კიდევ წინ გვაქვს ყველაფერი.

ამრიგად, თუ გადაგვარჩენს, ისევ პარტია, ანუ პარტიები, უფრო სწორად, პარტიების სიმრავლე გადაგვარჩენს.

სანამ ელექტორატი გაერკვევა, ყვითლები რითი განსხვავდებიან მწვანეებისგან, ან ქრისტიან-კონსერვატორები კონსერვატორ-ქრისტიანებისგან, ყველაფერი დამთავრდება, ანუ „ქართული ოცნება“ ისევ გაიმარჯვებს და გაერთიანებულ-აღორძინებულ-გაშმაგებული ოპოზიცია კვლავ მტირალი შეგვრჩება.

ხომ გახსოვთ ძველი სიმღერა „პარტია ჩვენი მესაჭეა“...

სანდრო ალექსიძე

თაღლითური კონკურენცია და მომხმარებლების გაყვლეფა

(მეხუთე გვერდიდან)

თქვენ თუ გადახედავთ საქართველოს ჯანდაცვის სისტემას, ნახავთ, რომ ყველაზე მაღალი პროცენტი გვაქვს გადაუდებელი სერვისების, რომელიც მთელ მსოფლიოში რაც არის, იმაზე სამჯერ მაღალია. თუ გადავხედავთ ფარმაცევტული ქსელის რაოდენობას საქართველოში, რომელიც 10 000 აფთიაქს აჭარბებს 3-მილიონიან ქვეყანაში, ვნახავთ, რომ მსოფლიოში ამის ანალოგი არ არსებობს. ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში მსგავსი რაოდენობის აფთიაქები არ არის. ეს არის იმის შედეგი, რომ ჩვენთან ეს კონგლომერატები დაინტერესებულები არიან, ფული ამოართვან მომხმარებელს და თავიანთ ქსელში დაატრიალონ“, –აცხადებს ახრახაძე.

მისივე განმარტებით, აღნიშნული საკითხი დაზღვევის კავშირში რამდენიმე თვის წინათ დადგა. მაშინ ითქვა, რომ მოხდეს საბანკო და სადაზღვევო სფეროების გამიჯვნა და ისე გადაწყობა, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია. მაშინ მოთხოვნილი იყო, გამიჯნულიყო სამედიცინო და სადაზღვევო კომპანიებიც.

როგორც დღეს ახრახაძე აცხადებს, ამ თემასთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ კონსულტაციები როგორც პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან, ისე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან. მისი მტკიცებით, მთავრობის თითქმის ყველა დონეზე პრობლემის არსებობას აღიარებენ. **„ამჯერად მოლოდინის რეჟიმში ვართ. ახლა ჩვენ ზედამხედველსაც მივმართავთ და მოვთხოვთ პასუხს იმაზე, თუ რა დასკვნები გამოიტანეს. თითიდან გამოწოვილი პასუხი ღაძაძის თუ გიორგაძის, რომ პირდაპირ ინტერესთა კონფლიქტი არ არის, სიმართლეს არ შეეფერება. ეს კონგლომერატები დღეს სარგებლობენ სუსტი საკანონმდებლო ბაზით, რომელიც საქართველოშია. ჩემი მოწოდება იქნება, რომ ნუ ისარგებლებენ კანონში არსებული შავი ხვრელებით და სუსტი საკანონდმებლო ბაზით“,** – ამბობს ახრახაძე.

როგორც ცნობილია, დაზღვევის კავშირი დაახლოებით 15–მდე სადაზღვევო ობიექტს აერთიანებს. მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებს და სადაზღვევო ბროკერებს.

თემასთან დაკავშირებით, „კომერსანტი“ დაუკავშირდა სტატიაში დასახელებულ ყველა მხარეს.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა „კომერსანტს“ საპასუხო განცხადება გამოუგზავნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„სადაზღვევო კომპანია იმედი ელი“ გახლავთ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ წევრი სადაზღვევო კომპანია. „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“, თავის მხრივ, გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული იურიდიული პირია და მისი აქციები 2015 წლიდან საჯაროდ ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე. აღნიშნული ჯგუფის, ისევე როგორც ჯგუფში შემავალი ყველა კომპანიის (მათ შორის, „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ს) საქმიანობა ყოველ ეტაპზე შეესაბამებოდა და შეესაბამება არა მხოლოდ ადგილობრივი კანონმდებლობის, ასევე, გაერთიანებული სამეფოს უმკაცრეს რეგულაციურ მოთხოვნებს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საქმიანობის მაქსიმალურ გამჭვირვალობას, კორპორაციული მართვის უმაღლეს სტანდარტებსა და ჯანსაღი კონკურენციის პირობებს.

ჩვენი ჯგუფის აქციონერი, გარდა საქართველოს კაპიტალისა, გახლავთ 200-ზე მეტი კერძო და უმსხვილესი საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორი. აღნიშნული ინვესტიციით კი მათ ნდობა გამოუცხადეს არა მხოლოდ ჩვენს ჯგუფს, არამედ ქვეყანას. ყოველწლიურად საჯაროდ ქვეყნდება მთელი ჯგუფის საქმიანობის ამსახველი დეტალური ანგარიში, რომელიც განკუთვნილია, როგორც ჯგუფის აქციონერებისა და ინვესტორების, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ყველა სუბიექტს, რომელიც ნამდვილად დაინტერესებულია, გაარკვიოს ჩვენი ჯგუფის აქციონერთა სტრუქტურა, მარტივად შეუძლია იმის დადგენა, რომ არც ერთი ადგილობრივი ბანკი (მათ შორის, არც „საქართველოს ბანკი“) არ გახლავთ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დამფუძნებელი და გარდა სტანდარტული ბანკი-კლიენტის ურთიერთობისა, სხვა არავითარი ურთიერთობა არ გვაკავშირებს ადგილობრივ ბანკებთან. აღნიშნული ინფორმაციის დამახინჯება კი მხოლოდ ან არაინფორმირებულობის ან განზრახ მიმართული ნეგატიური კამპანიის შედეგი შეიძლება იყოს, რასაც სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მრავლად აქვს ადგილი რიგი არაკეთილსინდისიერი სუბიექტების (მათ შორის, კონკურენტების) მხრიდან, რომლებიც არაერთგზის ცდილობენ, თითქოსდა, „მომხმარებლებზე ზრუნვის“ სარჩულით, პირადი სარგებლის მიღებას კონკურენტი კომპანიების დისკრედიტაციის ხარჯზე.

ბატონი ვასილ ახრახაძე გახლავთ სწორედ ამგვარი ერთ-ერთი კონკურენტი სადაზღვევო კომპანიის – „უნისონის“ გენერალური დირექტორი. ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მათ, მაქსიმალურად შეიკავონ თავი მცდარი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებისაგან, პატივი სცენ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისა“ და ამ ჯგუფში შემავალი კომპანიების საქმიან რეპუტაციას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მაღალი საქმიანი და კორპორაციული სტანდარტების დაცვით გახლავთ მოპოვებული და ძალიან ღირებულია. აღნიშნულის ხელყოფა აზიანებს არა მხოლოდ კონკრეტულ კომპანიას, არამედ, ზოგადად, ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და მომავალს. შესაბამისად, ყველა კანონიერი გზით განვახორციელებთ საქმიანი რეპუტაციის დაცვას მიუღებელი ხელყოფის მცდელობებისგან.

ჩვენ ასევე ველოდებით სტატიაში მოხსენიებული სხვა კომპანიების პასუხებსაც.

რაც შეეხება „საქართველოს ბანკს“, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბანკის დამფუძნებელი არა „ჯორჯია კაპიტალი“, არამედ BGEO ჯგუფია, რომლის გაყოფაც 2018 წლის 29 მაისს დასრულდა. 10-წლიანი წარმატებული საქმიანობის შემდეგ, უმსხვილესი საბანკო და საინვესტიციო ჯგუფი – „ბიჯეო ჯგუფი“ გაიყო ორ დამოუკიდებელ ჯგუფად. საქართველოს ბანკის ჯგუფი (Bank of Georgia Group PLC) საბანკო სფეროში განაგრძობს მოღვაწეობას, ხოლო საქართველოს კაპიტალი (Georgia Capital PLC) – საინვესტიციო მიმართულებით. საქართველოს ბანკი არ ფლობს არაპროფილურ აქტივებს.

სოფო ქსოვრელი



შერლოკ ჰოლმსი დანაშაულთა და თავისი სამუშაოს სხვა ასპექტთა შესახებ

* * *

სადაც ინტელექტი და ნებისყოფა ერთად მოქმედებენ, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება.

* * *

შურისძიებას კმაყოფილება არ მოაქვს, თუ მტერმა არ იცის, ვინ დასცა და გაანადგურა.

* * *

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამხდარა წარმოსახვა სიმართლის დედა!

* * *

– უყურე შენ! – თქვა ჰოლმსმა და გააბოლა ნაცრისფრად რგოლ-რგოლ ჩიბუხი. – ეგ ყველაფერი ტბორში მოიხელთეთ?

– იქვე ნაპირთან დაცურავდნენ, პარკი დარაჯმა იპოვა. ლედი სენტ-საიმონის ნათესავებმა ამოიცნეს კაბაც და დანარჩენიც. ჩემი ფიქრით, თუ ტანსაცმელი იქ იყო, იქვე სადმე იქნება სხეულიც.

– თუ ამ მახვილგონივრული თეორიიდან გამოვალთ, ყოველი ადამიანის სხეული იმისივე ტანსაცმლის ახლოისად უნდა ვიპოვოთ.

* * *

საერთო წესი ასეთია: რაც უფრო უცნაურია შემთხვევა, მით უფრო ნაკლებია იმაში იდუმალება. სწორედაც ჩვეულებრივი, უფერული დანაშაული ბევრად უფრო ძნელი ამოსაცნობია იმისდა მსგავსად, როგორც ძნელია მოსაძებნად დონდლო ხალხში ჩვეულებრივნაკვთებიანი სახის ადამიანი.

* * *

პართან მწოლიარე სხეული ყოველთვის განგაშს იწვევს.

* * *

აქ უთუოდ მკვლელობა იყო: საეჭვოა, რომ აქ შეყოვნებულიყო შიკრიკი ბიჭი, რომლის წაგრძელებული კისერი და ჩამოშვებული მხრები იმას ნიშნავს, რომ სისხლიანი ბოროტმოქმედება მოხდა.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №95, 97-105



მე არცრა საქმე არ მიმაჩნია წვრილმანად. ზოგიერთი ჩემი ყოვლის უფრო „ხმაურიანი“ საქმე თავიდან კიდევ უფრო ნაკლებად საგულისყურო ყოფილა, ვიდრე ეს არის.

* * *

ხდება ხოლმე, რომ დამნაშავეთაც ეწყებათ სინდისის ქენჯნის შეტევა.

* * *

ალბათ, ეგრევე სახელს გავიტეხ, თუ ყველას ყველაფრის ახსნა-განმარტება დავუწყე.

* * *

ამჩნევთ, რა უცნაურად არის ფრაზა აგებული: „ასეთ გამოძახილს თქვენზე ყოველი მხრიდან ვიღებდით“? ფრანგს ან რუსს ასე დაწერა არ შეეძლო. მხოლოდ გერმანელები ეპყრობიან ასე უცერემონიოდ თავიანთ ზმნებს.

* * *

პინაღამ შემეშალა: რახან თითის წვერები დაბებრებული აქვს, ალბათ, მანქანაზე მბეჭდავია-მეთქი. დაბებრებული თითის წვერები ორი პროფესიის ადამიანებს აქვთ – მანქანაზე მბეჭდავ ქალებს და მუსიკოსებს. ის მუსიკოსი იყო.

* * *

ჩემს თავზე იმას ვეჭვიანობ... ნაჩქარევი დასკვნები გამომაქვს-მეთქი.

* * *



საგედნიეროდ, არცრა არის იმაზე უფრო მასტიმულირებელი, ვიდრე შენ წინააღმდეგ მომართული საქმეა.

* * *

– რის ქმნას აპირებ?

– გახშირებულ ჩიბუხის წევას. საქმეში წამადგება.

* * *

არაჩვეულებრიობაში თითქმის ყოველთვის საიდუმლოების ამოსაცნობი გასაღებია.

* * *

პოლისმენებმა გრწყინვალე სამუშაო განახორციელეს, ყოველგვარი სამხილები მოსპეს.

* * *

ცუდ ტონს დანაშაულისკენ მივყავართ.

* * *

საშიშროება ჩემი პროფესიის თანამდევია.

* * *

ვატსონ, თუ ოდესმე მოგეჩვენება, რომ მეტისმეტად ვენდობი ჩემს თავს ანდა რომელსამე შემთხვევას ნაკლებ ყურადღებას ვუთმობ, ეგრევე წამჩურჩულე: „ნორბერი“ – და თქვენგან დიდად დავალებული ვიქნები.

* * *

– არის კიდევ რაღაც-რაღაც მომენტები, რომელთათვის ყურადღების მიქცევას მირჩევდი?

– დანაშაულის ღამეს ძაღლის უცნაური საქციელი.

– ძაღლის უცნაური საქციელი? კი, ბატონო, მაგრამ ის არც არანაირად არ მოქცეულა!

– სწორედაც ეგ არის უცნაური, – თქვა ჰოლმსმა.

* * *

თქვენ იგივე სენი გჭირთ, რაც გამომძიებელს: ახალგაზრდა კაცის ჩვენებებში თუ რამ კარგია, ყველაფერზე თვალს ხუჭავთ.

* * *

მე თვითონ ვიქნები პოლიცია. როცა ამლაბუდის ქსელს მოვქსოვ, პოლიციას შიგ ბუზების დაჭერა შეეძლება.

* * *

საიდან ვიცი, რომ ისინი ტყუიან? იქიდან ვიცი, რომ ეს ყოველივე უხერხული გამონაგონია, რაც სიმართლე ვერ იქნება.

* * *

პარგი, ჩამთვალე პარტიზანულ რაზმად, რომელიც რეგულარულ ძალთაგან ცალკე მოქმედებს.

* * *

არცრა იმაზე უკეთესი საქმე არ არის, როცა სუყველამ თითქოს პირი შეკრა შენ წინააღმდეგ. სწორედ მაშინ შედიხარ აზარტში.

* * *

ახლა კი სხვა ძაფს გამოვწევ, რომლის გამოძრობაც შევძელი ამ აბურდული გორგლიდან.

* * *

იმათ იქ (სკოტლენდ-იარდში) ზოგჯერ, მგონი, არც წარმოსახვა ჰყოფნით და არც ალღო, ოღონდ რაც შეეხება გულმოდგინებასა და მეთოდურობას, ბადალი არა ჰყავთ.

* * *

დამთხვევა... ეს რანაირი დამთხვევაა! არა, არა, ეს ორი მოვლენაა ერთმანეთთან დაკავშირებული, უსათუოდ დაკავშირებული. და ჩვენი ამოცანაა ამ კავშირის პოვნა.

* * *

ვიმედოვნებ, ღრუბელი გაიფანტება და სიმართლის ნათელი სხივი ბოლოს მოუღებს წყვდიადს.

* * *

გაგება უფრო ადვილია, ვიდრე ახსნა-განმარტება, როგორც შენ ეს ქენი.

* * *

საკუთარ თავს უფრო მეტად უნდა ენდო.

* * *

ახლა აღარც ნამდვილი დანაშაულები ხდება, აღარც ნამდვილი დამნაშავენი არიან.

* * *

ისინი ისე ეჭვიანობენ სახელ-დიდებაზე, როგორც პროფესიონალი ლამაზმანები (სკოტლანდ-იარდის მაძებრებზე).

* * *

როგორც კი მეფოკუსე, გინდ მაოცარი, თუნდაც ერთ თავის ფოკუსს ახსნის თუ განმარტავს, მაყურებლის თვალში ერთბაშად ჩაებუუტება სახელ-დიდების შარავანდედი.

* * *

– ჩემი მაძებარნი მაგ გოლემის კვალს უნდა ავადევნო.

– აზრი არა აქვს, პოვნით ვერც ვერასოდეს ვეღარ იპოვი. მაგრამ ერთი კაცი ვიცი, ვინც შეძლებს მაგის პოვნას.

– ეგეთი ვინ არის?

– მე.

* * *

დანაშაულის გამოძიება ზუსტი მეცნიერებაა, უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს ზუსტი მეცნიერება და უნდა აღიწეროს მოღვაწეობის ეს სახეობა მკაცრი, გულგრილი მანერით. თქვენ კი მანდ სენტიმენტები გაქვთ. ეს იგივეა, რომ ევკლიდეს მეხუთე პოსტულატზე მსჯელობაში პიკანტური სასიყვარულო ამბავი ჩავრთოთ.

* * *

თუ საქმის ბოლომდე მიდევნება გინდა, რამე პრაქტიკული უნდა გააკეთო, რომ ძიებას ბოლო მოადევნო და საქმე სასამართლოს გადასცე.

(გაგრძელება იქნება)

პუტინის პირადი ცხოვრება და სიტყვის თავისუფლება რუსეთში

რას მალავს პრეზიდენტი?

რუსეთში **რამდენიმე დღეა ვრცელდება ჭორები, რომ, სავარაუდოდ, რუსეთის ლიდერის 36 წლის მეგობარმა გოგონამ, ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მხატვრულ ტანვარჯიშში ალინა კაბაევამ, რომელიც ახლა, „მედია სადგურის“ აღმასრულებელი პირია, თვის დასაწყისში ტყუპები გააჩინა. კაბაევას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „საიდუმლო პირველ ლედის“, ის პუტინზე ბევრად პატარაა და ზოგიერთი დაუდასტურებელი ცნობით, 2008 წელს მას შვეიცარიის კლინიკაში ქალიშვილი შეეძინა.**

მაშინაც და ახლაც, კრემლი ამ ინფორმაციას მალავდა. პუტინი კაბაევასთან ურთიერთობას უარყოფს. ერთ ჟურნალისტს, რომელმაც პრეზიდენტს ამ კითხვით მიმართა, პუტინმა უპასუხა: **„მე ყოველთვის მქონდა ნეგატიური განწყობა იმ ადამიანებზე, ვინც საკუთარ აბრეცილ ცხვირს და ეროტიკულ ფანტაზიებს სხვა ადამიანების ცხოვრებაში ყოფს“.**

კაბაევა წარმოშობით უზბეკია, სპორტის დატოვების შემდეგ მოდელი გახდა, ხოლო შემდეგ 2014 წლამდე რუსეთის დუმის დეპუტატი იყო. ახლა ის „ეროვნულ მედია ჯგუფს“ ხელმძღვანელობს. როგორც რუსი გამომძიებელი ჟურნალისტი სერგეი კანევი წერს, მან ტყუპები იტალიელი ექიმის დახმარებით კულაკოვის სამშობიარო კლინიკაში, სპეციალურად გამოყოფილ სექციაში, გააჩინა. კაბაევას მშობიარობის შესახებ ინფორმაცია ყვითელ პრესაშიც გავრცელდა.

გამოცემა „მოსკოვსკი კომსომოლეცმა“, რომელიც პუტინის ოლიგარქი მეგობრის არკადი როტენბერგის საკუთრებაშია, დაწერა, რომ კაბაევამ, სავარაუდოდ, ტყუპები გააჩინა. თუმცა სტატია მალევე გაქრა. რუსი ოფიციალური პირები აღნიშნულზე კომენტარს არ აკეთებენ.

2013 წელს პუტინმა ყოფილ ბორტგამცილებელ და მასწავლებელ ლუდმილა შკრებნევასთან 30-წლიანი ქორწინება დაასრულა. ქორწინებიდან მას ორი ქალიშვილი ჰყავს. მათი ქორწინების განმავლობაში, შკრებნევა საჯარო სივრცეში ნაკლებად ჩნდებოდა. განქორწინების შემდეგ მან ხელახლა იქორწინა.

კრემლი გასულ კვირას, მედიასთან დაკავშირებული წყაროების ინფორმაციით, შეეცადა იმ ახალი ამბების შეზღუდვას, რომლებიც ტყუპების დაბადებაზე საუბრობდნენ, რაც მედია თავისუფლების შეზღუდვის კიდევ ერთი მაჩვენებელია. პუტინი საკუთარ პირად ცხოვრებას მკაცრად იცავს — ეს ერთ-ერთი ჩვევაა, რომელიც მას სუკის აგენტობის პერიოდიდან მოჰყვება.

2016 წელს სამი რედაქტორი რუსული „არ-ბი-სი“ მედია ჯგუფიდან სამსახურიდან გაათავისუფლეს, მას შემდეგ რაც პუტინის სიმდიდრის შესახებ სტატია გამოქვეყნდა.

კაბაევას საიდუმლო ისტორია რუსეთში პრესის თავისუფლების კიდევ უფრო შეზღუდვის პარალელურად ვითარდება. მაისის დასაწყისში 10-ზე მეტმა ჟურნალისტმა დატოვა გამოცემა „კომერსანტი“. მიზეზი ორი წამყვანი ჟურნალისტის — ივან საფრონოვის და მაქსიმ ივანოვის გათავისუფლება გახდა, რომლებმაც კრემლისათვის მიუღებელი სტატია დაწერეს.

გაზეთი მილიარდერ ალიშერ უსმანოვის საკუთრებაშია, რომელსაც პუტინთან ახლო კავშირები აქვს. მარტში, „კომერსანტის“ კიდევ ერთი ჟურნალისტი მარია კარპენკო სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქების შემდეგ გაათავისუფლეს.

„კომერსანტში“ მიმდინარე მოვლენების საპასუხოდ, ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ჟურნალისტების გათავისუფლების გადაწყვეტილება გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ **„ეს რუსეთში შემორჩენილ ჟურნალისტურ დამოუკიდებლობაზე საშინელი დარტყმაა“.**

დამოუკიდებელი გამოცემა, „ზი ბელ“ ამბობს, რომ მიუხედავად პოლიტიკური ცენზურისა, „კომერსანტს“ მთავრობისგან გარკვეული დამოუკიდებლობა ჰქონდა. **„ჟურნალისტების მასობრივად წასვლა სამსახურიდან ამ მოცემულობას კითხვის ქვეშ აქცევს“,** — აცხადებს გამოცემა. გამოცემამ ასევე აღნიშნა, რომ არაა ნათელი, თუ კონკრეტულად რას უკავშირდება მთავრობის გაღიზიანება ზემოხსენებული ორი ჟურნალისტით (ივანოვითა და საფრონოვით).

კაბაევას გარშემო მიმდინარე მოვლენები, რუსეთში პრესის თავისუფლების შეზღუდვის ილუსტრაციაა. ჟურნალისტები შიშობენ, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა კიდევ უფრო შეიზღუდება ახლახან მიღებული კანონით, რომელიც „ცრუ ინფორმაციის“ გავრცელებას კრძალავს. კრიტიკოსები ამბობენ, რომ კანონი შესაძლოა, ოპონენტებისა და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ იყოს გამოყენებული.

WWW.AMERIKISKHMA.COM

რუსეთის მილიონიანი ქალაქები

მოსკოვს განვითარებით 100 წლით ჩამორჩებიან

რუსეთის **ქალაქები, სადაც მილიონზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს, მოსკოვის დღევანდელ განვითარების დონეს საშუალოდ 100 წელიწადში დაეწევა — ასეთია რუსეთის „საქალაქო ეკონომიკის კვლევის ცენტრის“ კვლევის შედეგები.**

ის, რომ მოსკოვი არ არის რუსეთი, ანუ ის ცალკე სახელმწიფოა სახელმწიფოში, რომელთანაც ქვეყნის სხვა ქალაქები ახლოსაც კი ვერ მივლენ ვერც ერთი პარამეტრით, ყოველთვის იყო ცნობილი. თუმცა კვლევამ ამ სხვაობის რეალური მასშტაბები გამოავლინა.

„თუ შენარჩუნდება განვითარების დინამიკა, რომელიც 2010-2017 წლებში გამოვლინდა, მაშინ საშუალო მილიონიან ქალაქს 100 წელი დასჭირდება, რათა მოსკოვს სხვადასხვა პარამეტრებით დაეწიოს, პირველ რიგში კი მშპ-ს მიხედვით.

სულ რუსეთში არის 16 ქალაქი, რომლის მოსახლეობაც აღემატება 1 მლნ-ს. ეკონომიკური განვითარებით ისინი ორ ჯგუფად იყოფიან.

პირველი ჯგუფია ქალაქები ეკონომიკის 1,4%-ის საშუალო ზრდის ფარგლებში — მათ შორისაა ისეთი მოწინავე ქალაქები, როგორც სანქტ-პეტერბურგი, ყაზანი, ეკატერინბურგი და კრასნოდარი. თუ ეს ქალაქები ეკონომიკის ზრდის 5,9%-მდე დაჩქარებას მოახერხებენ, ისინი მოსკოვის 2017 წლის დონეს შედარებით სწრაფად — 10 წელიწადში მიაღწევენ.

მეორე კატეგორიაა ქალაქები, სადაც ეკონომიკა, ფაქტობრივად, გაჩერებულია — ზრდა არ აღემატება 0,2%-ს. ეს არის რუსეთის მილიონიანი ქალაქების დიდი ნაწილი — მაგალითად, როგორიც არის როსტოვი, ვოლგოგრადი, ნიჟნი ნოვგოროდი, ნოვოსიბირსკი და ა.შ.

თუ ისინი მოახერხებენ ეკონომიკური ზრდის 5-ჯერ დაჩქარებას — 5,4%-მდე, მათ მოსკოვის 2017 წლის დონის მისაღწევად 20 წელი დასჭირდებათ.

თუმცა, „საქალაქო ეკონომიკის კვლევის ცენტრის“ ექსპერტების აზრით, ამ ეტაპზე არ არსებობს იმის არანაირი წინაპირობა, რომ რუსეთის რეგიონალური ქალაქების ეკონომიკის დონე ასე მკვეთრად გაიზრდება, შესაბამისად, 100-წლიანი პროგნოზი, სავარაუდოდ, უცვლელი დარჩება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევაში საუბარია მოსკოვის 2017 წლის დონეზე, შესაბამისად, 100 წლის შემდეგ სხვაობა მოსკოვს და რეგიონებს შორის იქნება ისეთივე, როგორც დღეს.

რუსეთის მილიონიან ქალაქებში 2017 წელს ქვეყნის მშპ-ს 32,3% მოდიოდა. ამ მაჩვენებელში 54% არის მოსკოვის წილი, 15.1% — სანკტ-პეტერბურგის, 30,5% — სხვა მეგაპოლისების.

მოსკოვის მშპ ერთ სულ მოსახლეზე მინიმუმ 2-ჯერ აღემატება რუსეთის სხვა დიდი ქალაქების მაჩვენებლებს.

მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის ბიუჯეტების შემოსავალი თითო მოქალაქეზე რამდენჯერმე აღემატება სხვა დიდ ქალაქებს — წელიწადში საშუალოდ 167 000 რუბლი მოსკოვში, 97 000 — სანკტ-პეტერბურგში და მხოლოდ 23 000 — სხვა მეგაპოლისებში.

კვლევის ავტორების აზრით, ბოლო წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მეტად რუსეთის რეგიონალურ მეგაპოლისებს დაარტყა. მათი ეკონომიკური ვარდნა იყო გაცილებით უფრო ღრმა, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში — 5,1%, მაშინ როდესაც დანარჩენ რუსეთში — 2,8%, მოსკოვში კი — 1,8%. მხოლოდ სანკტ-პეტერბურგმა მოახერხა ზრდის შენარჩუნება სულ რაღაც 2,4%, მაგრამ მაინც.

რუსეთის დიდი ქალაქები, მოსკოვის გარდა, აღმოჩნდნენ „საშუალო შემოსავლის სატყუარაში“, ანუ მათ ამოწურეს ზრდის ისეთი რესურსი, როგორიც ქალაქებში სოფლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია და მათ მიერ სამომხმარებლო კულტურის თანამედროვე სტანდარტების ათვისებაა.

რეგიონულმა მეგაპოლისებმა ამოწურეს ზრდის პირველადი რესურსები, მიაღწიეს კეთილდღეობის გარკვეულ დონეს და ამ ეტაპზე ველარ განსაზღვრეს სტაბილური ზრდისთვის აუცილებელი მიდგომები.

ეკონომიკურ ჩამორჩენასთან პირდაპირ არის დაკავშირებული ინვესტიციების დაბალი დონე რეგიონებში. მაგალითად, მოსკოვში ერთ ადამიანზე საშუალოდ 162 000 რუბლის ინვესტიციები მოდის, სანკტ-პეტერბურგში — 127 000, ხოლო დანარჩენ ქალაქებში — 94 000.

შესაბამისად, რეგიონულ ქალაქებში ინვესტიციების მოცულობა 1 ადამიანზე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მოსკოვში.

რეგიონულ ქალაქებში ასევე მცირდება ინვესტიციების წილი მშპ-სთან მიმართებაში და საშუალოდ 17%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი მინიმალური მაჩვენებელი 25%-ია.

თანაც, გასათვალისწინებელია, რომ განვითარებად ქალაქებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, რადგანაც მათ უწევთ ჩამორჩენის აღმოფხვრა, რაც თავისთავად მოითხოვს მეტ ფინანსურ შესაძლებლობებს.

მაგალითად, მადრიდში, ჰამბურგში და შტუტგარტში ეს მაჩვენებელი შეადგენს 20%-ს, აღმოსავლეთ ევროპის შედარებით ღარიბ ქალაქებში — პრაღა, ბრატისლავა, კრაკოვი — 25%-ს, ხოლო განვითარებადი ქვეყნების დიდ მეგაპოლისებში — ინდოეთის დედაქალაქ დელიში — 30%, ხოლო ჩინეთის ერთ-ერთ ინდუსტრიულ ცენტრ ჩენდუში — 57%-ს.

rbc.ru

არ იცი? - გასწავლით, არ გინდა? - გაიძულებთ!

ჩინეთში სოციალური რეიტინგის სისტემა მოქმედებს. **აგერ უკვე ხუთი წელია, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალური რეიტინგის სისტემის ტესტირებას ატარებენ. იქ სურთ ისეთი სისტემის შექმნა, რომელშიც ცალკეულ პირთა ყოფაქცევას არა ადამიანები, არამედ ხელოვნური ინტელექტი შეაფასებს. ამის შედეგად მალე თითოეული იქაური მოქალაქე პირად რეიტინგს მიიღებს, რომელზეც დამოკიდებული იქნება მისი უფლებები, პრივილეგიები და, საბოლოო ანგარიშით, თვით თავისუფლებაც კი.**

ამჟამად პროექტს საპილოტე რეჟიმში ჩინეთის 40 ქალაქში ცდიან. იმისთვის, რომ კაცი დროულად იხდის გადასახადებს, კრედიტებს ან ალიმენტებს, მონაწილეობს სამოხალისო მოძრაობაში, დონორობის პროგრამით აბარებს სისხლს და ა.შ. — იგი **წითელ სიაში** ხვდება, ხოლო, თუ ვინმე არ ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, ცუდად იქცევა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს (თუნდაც წითელ შუქნიშანზე გადადის!), ანდა საზოგადოებრივად სახიფათო ქმედებებს სჩადის — **იგი უმალ შავ სიაში მოხვდება. ამის შედეგად მას აეკრძალება პირველი კლასის სასტუმროებსა და რესტორნებში შესვლა, მის შვილებს არ მიიღებენ კერძო სკოლაში, გადამზიდველი არ მიჰყიდის საძინებელი ვაგონის ბილეთს, საბაჟოზე კი ყველაფერს გაათმაგებული მონდომებით გაუჩხრეკენ, ასევე არც კრედიტს მისცემენ და არც სახელმწიფო სამსახურში მიიღებენ.**

წითელ სიაში მოხვედრილთათვის გათვალისწინებულია წახალისებათა მთელი კომპლექტი, თუმცა კი ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება ღიმილი მოგგვაროთ. ამ პირებს უფლება ეძლევათ უფრო მეტხანს ისარგებლონ საზოგადოებრივი ველოსიპედით, ბიბლიოთეკიდან დადგენილ ოდენობაზე უფრო მეტი წიგნი გაიტანონ, სამედიცინო შემოწმება გაიარონ უფასოდ, ასევე სურსათის შეძენისას, გათბობის გადასახადის გადახდისას და ა.შ. გარკვეული შეღავათები და ბონუსები მიიღონ.

სოციალური რეიტინგის სისტემა ჩინეთში თანდათანობით სულ უფრო მეტად მასშტაბური ხდება. მაგალითად, 2018 წელს 17 მილიონ ჩინელს უარი უთხრეს თვითმფრინავის ბილეთის შეძენაზე, 5,4 მილიონმა კაცმა ვერ იმგზავრა ჩქაროსნული მატარებლებით. ყოველივე ამის მიზეზი დაბალი სოციალური რეიტინგი იყო.

დასავლეთის მასმედიის საშუალებები შოკში არიან ჩინეთში მოგონილი სისტემის გამო, რომელიც ხისტად ზღუდავს ადამიანის უფლებებს და მას საყოველთაო კონტროლის ქვეშ აყენებს. მაგრამ, **ჩინელების 80 პროცენტი იწონებს სოციალური რეიტინგის შემოღებას მოქალაქეთა კეთილსაიმედობის დასადგენად.**

ასეთი დამოკიდებულების მიზეზები როგორც ჩინურ მენტალიტეტში, ასევე მიმდინარე პრობლემების აღქმაში უნდა ვეძიოთ — ცისქვეშეთის მკვიდრნი მიჩვეულნი არიან საზოგადოებრივი სარგებლის საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა დაყენებას. მაგრამ, თანამედროვე საზოგადოებაში დიდად გაიზარდა უნდობლობისა და ეჭვიანობის დონე, რაც ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ითვლება. ამიტომაცაა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ არის წინააღმდეგი გარკვეული მკაცრი შეზღუდვების შემოღებისა. 2020 წლიდან სოციალური რეიტინგის სისტემა ჩინეთში ცენტრალიზებული გახდება და მის კონტროლს ქვეყნის ყველა მოქალაქე დაექვემდებარება. თითოეული პირის ქულების ოდენობა რეალური დროის რეჟიმში გაიზომება, რისთვისაც „დიდი ძმის“ (ასე უწოდებენ სოციალური რეიტინგის სისტემას) სამსახურში აუარება იდეა და ტექნოლოგია ჩააყენეს. კერძოდ, ქვეყანაში დაიწყეს საგანგებო ნიშნებით აღჭურვილი ავტომანქანების გამოშვება, რომელთა მეშვეობით ყველა ცნობა მოძრაობის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებს გადაეცემათ. ჩინეთში დიდი ხანია იყენებენ ნეირონულ ქსელებზე დაფუძნებული თვალყურის დევნების სისტემებს, რომელთა დახმარებით არა მარტო ხსნიან დანაშაულებს, არამედ მომავალ სამართალდარღვევათა ადგილის პროგნოზსაც იღებენ. კერძოდ, ქვეყანაში დამონტაჟებულია 176 მილიონი ვიდეოკამერა, ერთ წელიწადში კი მათ კიდევ 500 მილიონი დაემატება. **ისინი სახეების გარჩევის სისტემაში არიან ჩართულნი, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი მართავს.** ამ სისტემას საეჭვო პირის დადგენა შეუძლია, ვთქვათ, ყოფაქცევით და სიარულის მანერით, რის შესახებ უმალ პოლიციის უახლოეს უბანს ატყობინებს. ინტელექტუალური ალგორითმები ყველაზე უმნიშვნელო სამართალდარღვევასაც მყისიერად ადგენენ — **ვიდეოთვალყურის სისტემები საზოგადოებრივი ტუალეტების შესასვლელებშიცაა, რათა მომხმარებლებმა ქაღალდი არ მოიპარონ.**

ხელოვნური ინტელექტი აანალიზებს არა მარტო ადამიანთა სახეებს, არამედ მათ შენაძენებს, ნაცნობთა წრეს, მიმოსვლას, ინტერნეტში მოქცევას.

დაწერილია დანართი, რომლის დახმარებით თითოეულ მოქალაქეს საკუთარი სოციალური რეიტინგის თვალის გადევნება შეუძლია. კიდევ ერთი დანართი განკუთვნილია დადგენილი წესების დამრღვევების დასაბეზღებლად, რაშიც დამბეზღებელს რეიტინგის ქულები ემატება...

ზოგად სახელებად ქცეული გვარები

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ბევრ ისეთ სახელწოდებას ვიყენებთ, რომლებიც თავდაპირველად სხვადასხვა პირთა გვარები იყო, მაგრამ შემდგომ, მათი ქმედების ან რაღაც გამოგონების შედეგად, სასაუბრო ლექსიკაში ზოგად სახელწოდებებად დამკვიდრდა.

ერთ-ერთი მათგანია საყოველთაოდ ცნობილი ხულიგანი: მე-18 საუკუნის მიწურულს ლონდონში ირლანდიელი **პატრიკ ხულიგანის** ოჯახი ცხოვრობდა, რომლის წევრები ჩხუბისთავობის გამო ხშირად პოლიციის განყოფილებაში მიჰყავდათ, რის გამოც ისინი სკანდალური ქრონიკის გმირები ხდებოდნენ. ერთმა ინგლისურმა გამომცემლობამ კი პატრიკ ხულიგანი კომიქსების პერსონაჟად აქცია.

ჩვ.წ.აღ-მდე 70-80 წლებში მცხოვრები ძველი რომის სახელმწიფო მოღვაწის, ნატიფ ხელოვნებათა და პოეტების ქომაგის **გაიუს ცილნიუს მეცენატის** სახელი სწორედ მისი სამაგალითო მოღვაწეობის გამო იქცა ზოგად სახელად.

ინგლისელმა **ჩარლზ ბოიკოტმა** კი 1880 წელს ირლანდიელი გლეხებისადმი თავისი დაუნდობელი მოქმედებებით ხალხი იქამდე მიიყვანა, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ის იზოლაციაში მოაქციეს — მეზობლებმა მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეს. მაღაზიებმა კი უარი თქვეს მის მომსახურებაზე.

სილამაზით გამორჩეული არისტოკრატი, ცბიერი შემცდენელი, სერ **რობერტ ლოველასი** (მისი სახელი ინგლისური სიტყვებისგან „სიყვარულისგან“ და „მაქმანისგან“ შედგება), ინგლისელი მწერლის **სემუელ რიჩარდნის** რომანის „კლარისას“ პერსონაჟია, რომელიც მან 1748 წელს დაწერა. ნაწარმოების პოპულარობის შედეგად გვარი „ლოველასი“ მაცდური მამაკაცის სიმბოლოდ იქცა.

მაზოხიზმი — ესაა აშკარად არაბუნებრივი თვისება სიამოვნების მიღებისა, როცა კაცს ამცირებენ, ან ძალადობენ მასზე, ანდა, სულაც, აწამებენ. ესაა ავსტრიელი მწერლის **ლეოპოლდ ზახერ-მაზოხის** (1836-1895 წ.წ.) „მემკვიდრეობა“, რომლის რომანებში სწორედ ასეთი მიდრეკილებებია აღწერილი.



გასტონ გალიფე კი (1830-1909 წ.წ.) ფრანგი გენერალი იყო, რომელიც თეძოში დაიჭრა, რის გამოც არ შეეძლო მოტმასნილი შარვლის ტარება. ამიტომაც მეგობრის ქალიშვილმა მას თეძოებში ფართო შარვალი შეუკერა, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს.

ინგლისელი გენერალი **ლორდი კარდიგანი** კი მსუბუქი კავალერიის ბრიგადის გენერალი იყო, რომელიც ყირიმის ომში მონაწილეობდა. გარდა ამისა, მან კიდევ მოქსოვილი, უსაყელო, ღილებიანი ჟაკეტი მოიგონა, რომელსაც მუნდირის ქვეშ იცვამდა.

ასევე ინგლისელმა ფაბრიკანტმა **ჯეიმს უატმენმა** ქაღალდის ფურცლების ახალი ფორმა შემოიღო, რომელსაც ბადის ნაკვალევი არ ემჩნეოდა და დღესდღეობით მას „ვატმანს“ უწოდებენ.

ინგლისელი იყო აგრეთვე **გრაფი სენდვიჩი** (1718-1792 წ.წ.), რომელიც თავგადაკლული ბანქოს ტრფიალი იყო. გადმოცემით, გრაფი სათამაშო მაგიდასთან მთელ დღე-ღამეებს ატარებდა და ითხოვდა მისთვის საქონლის ხორცის ცივი ნაჭრები პურის ორ ნაჭერს შორის მოთავსებული მიეტანათ. ამით ის ძვირფას სათამაშო დროს საჭმლის მიღებაზე არ ხარჯავდა.

ლორდი კარდიგანი


გრაფი სენდვიჩი


ლეოპოლდ ზახერ-მაზოხი


ჩარლზ ბოიკოტი

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

◎ ძიუდო

სათაკილო არაფერია

დამდეგ უქმეებზე რუმინული კლუჟი ევროპის ღია კონტინენტური თასის გათამაშებას უმასპინძლებს, სადაც ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოვა საქართველოს ნაკრები: ავთანდილ კუტალაძე (60), ვლადიმერ ახალკაცი (71), ლაშა ბექაური, იმედა გოგოლაძე (ორივე 90), ონისე სანებლიძე (100), გურამ თუშიშვილი (+100) და ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (52).

საქმეში ჩახედულ მკითხველსა და გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ „ჯვაროსანთა“ ძირითადი ბირთვი მეორე ევროპული თამაშებისთვის ემზადება, რომელიც რამდენიმე კვირაში მინსკში გაიმართება და სწროედ ამით უნდა აიხსნას კარპატულ ტატამზე საასპარეზოდ ჩვენი გუნდის გადახალისებული კონტინგენტით გამგზავრება.

რაც შეეხება დელეგაციაში მსოფლიოსა და ევროპის მძიმეწონოსანი ჩემპიონის გურამ თუშიშვილის შეყვანას, გასაკვირი არაფერია – ორთვიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ მას საშეჯიბრო პრაქტიკა ჰაერივით სჭირდება და ბალკანური ტურნირი საამისოდ საუკეთესო ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ.

გიორგი შოთაძე

◎ სჯობს გვიან...

იაპონიის სუმოს ასოციაციამ აღიარა, რომ ტოჩინოშინს გამარჯვება წაართვეს

იაპონიის სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭომ აღიარა, რომ ტოჩინოშინს ასანოიამასთან სკანდალურად ცნობილ შეხვედრაში გამარჯვება წაართვეს.

როგორც ასოციაციის დასკვნაში წერია, მსაჯების ქმედება დამაბნეველი და არასრულყოფილი იყო, რამაც არასაჭირო აჟიოტაჟი გამოიწვია.

საბჭოში განხილვის დროს სუმოს მამებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ტოკიოს ნაცუ ბაშოს მე-13 დღეს გამართულ ერთ-ერთ გადამწყვეტ ორთაბრძოლას, სადაც ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი იაპონელ ასანოიამას დაუპირისპირდა და აბსოლუტურად ყველა წესის დაცვით მოიპოვა გამარჯვება, თუმცა შიმპანმა ქართველს მოგება არ ჩაუთვალა, რის გამოც ტოჩინოშინმა იმპერატორის თასის დაუფლების შანსი დაკარგა.

სუმოს მამები ადასტურებენ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც შიმპანის გადაწყვეტილება აბსოლუტურად არასრულყოფილი და დამაბნეველი იყო. მათი თქმით, შესაძლოა, მსაჯის გადაწყვეტილება შეცდომა იყო.

შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინმა 10 გამარჯვებითა და 5 წაგებით ოძეკის ტიტული დაიბრუნა, იმპერატორის თასის მფლობელი კი სწორედ ხსენებული დოჰიოს მასპინძელი ასანოიამა გახდა, რომელსაც კიდევ ერთი საეჭვო გამარჯვებაც დაეხმარა ტიტულის მოპოვებაში.

მანუჩარ გიორგაძე

◎ მხარე

სტაბილურად - კვარცხლბეკზე

რატომლაც მიჩნეულია, რომ სისხლსავსე სპორტული ცხოვრება მხოლოდ დედაქალაქში ჩქეფს, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე – ტალანტების არანაკლებ სამჭედლოდ იყო და რჩება რეგიონები!

საილუსტრაციოდ დავასახელებთ ზუგდიდელ კარატისტ გიორგი ჯიქიას (მწვრთნელი – გოგიტა არქანია), რომელიც ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული პრესტიჟული კომერციული ტურნირიდან სამშობლოში ვერცხლის მედლით დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა თანამემამულემ ოკეანის გაღმა დამაჯერებლად მოიგო ხუთი ორთაბრძოლა და მინიმალური ანგარიშით მხოლოდ ფინალში დამარცხდა მექსიკელ მეტოქესთან.

ეს წარმატება რომ შემთხვევითი არ ყოფილა, გიორგის კარიერაზე თვალის ერთი გადავლებაც კმარა:

2007 წ. ტოკიო. მსოფლიო ჩემპიონატი შოტოკან კარატეში (WSKF) 12-13 წლის ბიჭებს შორის. აბსოლუტური წონა – პირველი ადგილი.

2010 წ. საფრანგეთი. მსოფლიო ჩემპიონატი 14-15 წლის კადეტთა შორის – პირველი ადგილი.

2013 წ. დუბაი. კომერციული ტურნირი 16-17 წლის ჭაბუკთა შორის – პირველი ადგილი.

2016 წ. ნიუ-იორკის ღია ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის კუმიტეში (-75 კგ) – პირველი ადგილი.

2017 წ. ნიუ-იორკის ღია ჩემპიონატი უფროსთა შორის კუმიტეში (-75 კგ) – პირველი ადგილი.

ვიმედოვნებთ, ღირსეული გაგრძელება იქნება...

კოგა კოგახიძე

◎ კალათბურთი

დედა შვილს არ აიყვანს!..

დღეს ყველა ქართული საკალათბურთო გზა იმერეთისკენ მიდის – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართება სუპერლიგის ფინალური სერიის მეხუთე, გადამწყვეტი მატჩი ქვეყნის მოქმედ ვიცე-ჩემპიონ „ქუთაისსა“ და ამბიციურ დებიუტანტ „დელტას“ შორის, რომელმაც საერთო ანგარიში თბილისის ალექსანდრე ანპილოგოვის სახელობის ახალ ოლიმპიურ სასახლეში მოგებული მეოთხე შეხვედრის შემდეგ გაათანაბრა – 86:75 (2:2).

მეტოქეებმა თითო ჩხვლეტა ერთმანეთს სტუმრად კი მიაყენეს, მაგრამ მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარება უფრო რეგულარული სეზონის სატურნირო ცხრილში წინ მყოფ რიონისპირელებს აწყობდათ, რის გამოც მათ საკუთარი დარბაზის უპირატესობა შეინარჩუნეს და სწორედ ამიტომ მასპინძლობენ ლექსო ლაფანაშვილის შეგირდებს ემოციურობით გამორჩეულ გულშემატკივართა თანხლებით.

კოტე ტუღუშის გუნდს ზურგს დიდი გამოცდილებაც უმაგრებს, თუმცა, წინასწარ რაიმე პროგნოზის გამოთქმა და რომელიმესთვის ფავორიტის სტატუსის მინიჭება მაინც გაუმართლებლად მიგვაჩნია – ხომ იცით, სათანადოდ განწყობა და სატიტულო ბრძოლაში ღირსეულად თამაში ყველას შეუძლია.

დავძენთ, რომ დედაქალაქში მიმდინარე მეოთხე დუელის შესვენებაზე წლევანდელი სუპერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელად აღიარებულ გიორგი კორსანტიას გელა დარსაძისა და ზვიად მიქაძის სახელობის თასები გადაეცათ, ხოლო 80 წლის ვეტერანი იუბილარი ვალერი ლომაძე ეროვნული ნაკრების მაისურითა და სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სკანდალი

ქართული ფეხბურთის მორიგი სირცხვილი!

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა არასასიამოვნო თემაზე გვიწევს წერა, მაგრამ პასუხისმგებლობას ვერ გავექცევით. ასეა პირადად ჩემს შემთხვევაშიც – მიყვარს ფეხბურთი, ვხედავ, როგორ მაკვდება ხელში და ვალდებულებას ვკისრულობ, დავაფიქსირო ჩემი აზრი, რადგან ვერანაირად ჩუმად ვერ ვიქნები.

რაც დამოუკიდებლობის გზას დაადგა, ქართულ ფეხბურთს პრობლემები, ლანძღვა, გინება, ნიჰილიზმი და სხვა უკეთურობები არ მოჰკლებია. და აი, ახალი ხაფანგი, რომელშიც იგი გაება. საუბარია ქუთაისის „ტორპედოში“ განვითარებულ მოვლენებსა და გაუცემელ ხელფასებზე, რომელსაც ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობის გამო სხვადასხვა კლუბების ფეხბურთელთა დაპატიმრება მოჰყვა. არადა, ეს ხდება მაშინ, როცა კარს მოგვადგა ევროპული საკლუბო ტურნირების ახალი სეზონი. მოკლედ, ჭაობის ბინადრობა ჩვენი ფეხბურთის საფირმო ნიშნად იქცა.

მოგეხსენებათ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-უეფადან უხვად ფინანსდება როგორც ნაკრების, ასევე ევროტურნირებში მონაწილე გუნდების სოლიდური თანხით უზრუნველსაყოფად. წლები გადის, მაგრამ ამ თანხის სწორი მიმართულებით განმკარგავი არავინაა, მის გამჭვირვალობაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ეს იმ დროს, როცა უცხოური კლუბების მმართველები ვალდებულნი არიან გულშემატკივართა წინაშე გაწეული საქმიანობის ანგარიშით წარსდგნენ. დღეს ჩვენს პირობებში ორ-სამ მილიონიან ტრანსფერს ვერ განახორციელებ, რადგან ასეთი თანხის დახარჯვა ბანკის გატეხვას და სეიფში შეღწევას უტოლდება. დიახ, აშკარად სრულ უცოდინარობასა და უპასუხისმგებლობას ვავლენთ მენეჯმენტის ცოდნასა და ფულის ხარჯვაში, კლუბის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა კი არის ფსკერი.

ფული ყოველთვის ვერ იქნება წარმატების გარანტი, თუ ის გონივრულად არ ხარჯე. ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, როდის აიღებს გასამრჯელოს, რადგან მის უკან ოჯახი დგას. ბოლოდროინდელი მოვლენები ვერანაირად ვერ გაამართლებს მოთამაშეთა ქმედებას – სამწუხაროა, რომ ჩვენთან სიტყვა ტრანსფერს მნიშვნელობა აქვს დაკარგული. არავისთვისაა საიდუმლო, თანამედროვე ქართული ფეხბურთის საკადრო პოლიტიკაში რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვინ ვისი ძმაკაცია და ვინ ვის სასარგებლოდ ახორციელებს სატელეფონო ზარებს. საქმე სასიკეთოდ მხოლოდ მაშინ დაიძვრება, როცა ჩვენს ფეხბურთში პროფესიონალ, წესიერ, ქართულ ფეხბურთზე მოფიქრალ ადამიანებს ვიხილავთ, რადგან ეს ის ხალხია, ვისაც ალალად ადარდებს ჩვენი ფეხბურთის ბედ-იღბალი.

ფასადური გახლავთ ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად გადადგმული ნაბიჯებიც. თითქოს, კეთილმოვაწყვეთ სტადიონები, მოვაწესრიგეთ მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა, მაგრამ რეალური შედეგი არ გვაქვს. არც გვექნება, რადგან თამაშებზე მაყურებელი არ დადის, მათ ქმედებას კი ვერ გაამტყუნებ. როცა ასეთ სიბინძურეს დაინახავს, საერთოდ გაუქრება მატჩებზე დასწრების სურვილი. არადა, ჩვენ გემოვნებიან ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული გულშემატკივრები გვყავს, რისი აღნიშვნის საშუალებასაც ამ ბოლო დროს ბათუმსა და წყალტუბოში გამართულ შეხვედრებზე მაყურებელთა დასწრების მაღალი მაჩვენებელი გვაძლევს.

ვფიქრობ, აუცილებელია საფეხბურთო იერარქიის სათავეში მყოფთათვის წითელი ბარათის ჩვენება, რადგან სხვებმა ბინძური საქმისკენ არათუ გახედვა, გაფიქრებაც კი ვერ გაბედონ, რაშიც ქართული ფეხბურთის კეთილმოსურნეებიც დამეთანხმებიან. სპორტის მთავარი მიზანი ხომ სამართლიანი თამაშია, ამ პრინციპს კი უღალატეს და დარტყმა მიაყენეს. სწორედ ამიტომ აუცილებელია გაერთიანდეს სპორტული სამყარო და ერთიანად დაუპირისპირდეს არსებულ სიბინძურეს.

ბეჟან ჩხეიძე,
ზესგაფონიდან.

სულთათანა

თემურ პეტრიაშვილი

გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების გამორჩეული წევრი, ღირსებით აღსავსე მამულიშვილი, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული ადამიანი **თემურ პეტრიაშვილი**, რომელსაც ერთ თვეში 70 წელი შეუსრულდებოდა...

სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი თემურ პეტრიაშვილი ამავე დროს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილი და მის მომავალზე მოჭირნახულე საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მეცნიერის ცხოვრების თითოეული ნაბიჯი სამშობლოს, ქართველი ხალხის, ქართული ენის პატივგებით იყო აღსავსე.

შესანიშნავი წიგნი მიუძღვნა თავის საყვარელ უბანს „მთაწმინდას“, იქ მცხოვრებ თითოეულ ოჯახს, მეფე ერეკლესა და ყვარელს მოეფარა შესანიშნავი პუბლიკაციებით, ყველას გვახსოვს მისი საინტერესო პუბლიცისტური წერილები „საქართველოს მენდელეევი“, „თბილისის ისტორიული ფურცლები“. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „მამულიშვილმა“ საპატიო სიგელით დააჯილდოვა, თუმცა მისი ყველაზე დიდი ჯილდო ის შეუბღალავი და წმინდა სახელი იყო, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდნენ მისი მეგობრები, ახლობლები და ჩვენი საზოგადოების გამორჩეული მოღვაწენი.

თემურ პეტრიაშვილს ტოლი არ ჰყავდა მეგობრობისა და სიყვარულის გამოხატვაში. უაღრესად ყურადღებიანი, კომუნიკაბელური, და, რაც მთავარია, ულევი ადამიანური სითბოს მატარებელი გახლდათ... გვინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ დიდი რევაზ თაბუკაშვილი და მედეა ჯაფარიძე მას უახლოეს ადამიანად მიიჩნევდნენ და მასთან თანამშრომლობდნენ.

ქართული ღვინის პოპულარიზატორი საინტერესო ლექციებით წარდგა ამერიკაში ტელევიზიით და... დღესაც ახსოვთ ამ მადლიანი კაცის დაუვიწყარი ნაუბარი.

ახალგაზრდობის გზის გამკვლევი და დამრიგებელი თემურ პეტრიაშვილი შესანიშნავი ლექტორი და ექიმთა მრავალი თაობის აღმზრდელი იყო.

დიდი პატივისცემა უნდა გამოვხატოთ მისი შესანიშნავი მეუღლის მაიასა და თემურის ძმის, ცნობილი ექიმის შალვა პეტრიაშვილის მიმართ, რომლებმაც ყველაფერი იღონეს თემურის მძიმე დაავადებასთან საბრძოლველად, მაგრამ...

ღმერთს ებარებოდეს თემურ პეტრიაშვილის შესანიშნავი სული.

მშვიდობით, დაუვიწყარო მეგობარო!

მალხაზ დოლიძე, თამაზ მიქაძე, თამაზ კონჭოშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება დეპარტამენტის ხელმძღვანელის, დამსახურებული მეცნიერის და სტუდენტების უსაყვარლესი პედაგოგის, ჩვენი კოლეგისა და მეგობრის, პროფესორ

თეიმურაზ პეტრიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ნელი, ზაურ ფხალაძეები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ თსსუ-ის პათოფიზიოლოგიის ხელმძღვანელის, პროფესორის, სამაგალითო მამულიშვილის, თავის საქმის უდიდესი პროფესიონალის, რაჭველებზე შეყვარებულის, თბილისის მოტრფიალის, ლხინსა და ჭირში გვერდზე მდგომის, ერუდირებული ინტელიგენტის, უდიდესი მეცნიერისა და უკეთილშობილესი ადამიანის

თეიმურაზ პეტრიაშვილის

გარდაცავალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ღმერთმა მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი სული.

გაანცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2001 წლის 23 აპრილს გარდაცვლილი ბატონი ალექსანდრე ვასილის ძე პავლოვსკის (დაბ. 23.02.1925 წ. გარდაცვალების მოწმობა I-АК №760920) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუჩა ნონეშვილის №45 (ს-კ 05.30.09.048) 1/4 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელდმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.

შპს ალადაშვილის სახელობის კლინიკის კარდიოლოგიური განყოფილება თანაუგრძნობს პროფესორ შალვა პეტრიაშვილს ძმის, სახელოვანი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის

თეიმურაზ პეტრიაშვილის

გარდაცვალების გამო.

სპარტაკ ქობულია ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ღირსებით, სიკეთითა და მოყვასთა სიყვარულით გამორჩეული პიროვნება, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თემურ პეტრიაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და დიდ სანათესაოს.

გახსენება



თენგიზ არჩვაძე, თეიმურაზ ებრალიძე ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან ბავშვობის მეგობრის

თამაზ ჩანტლაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

უახლოესი მეგობრები რუსიკო ენუქიძე, ლამარა მაძაღუა, ლამარა ჯაფარიძე, იდა ხელაძე, თენგიზ არჩვაძე, თეიმურაზ ებრალიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეგობარი, უკეთილშობილესი პიროვნება

თამაზ ჩანტლაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ესპანეთში 5 წლის ქართველი ბავშვი დაიღუპა

ესპანეთში ზღვაში დაღუპული 5 წლის გოგონა რუსთავის საკრებულოს წევრის დავით იშხნელის შვილია. იშხნელი, როგორც ცნობილია, საკრებულოს წევრი „ოცნებიდან“ გახდა. არსებული ინფორმაციით, დეპუტატის ოჯახი ესპანეთის სანაპიროზე, კერძოდ, ტარაგონაში სამ შვილთან ერთად ისვენებდა. 5 წლის ბავშვი სანაპიროზე, საცურაო ლეიბზე იწვა, როცა ტალღებმა გაიტაცეს. მაშველებმა წყლიდან ამოიყვანეს, მაგრამ 5 წლის ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

უბედური შემთხვევა სოფელ ნაწრეტში

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაწრეტში ცოლ-ქმარი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 240 პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დაიწყო, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ძარცვის ბრალდებით სამი ქართველი დააკავეს

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ძარცვაში ეჭვმიტანილები დააკავა, რომელთაგან სამი ქართველია. დაკავებულებს ბრალი ედებათ 22 ძარცვაში. ეჭვმიტანილებზე პოლიციამ ძებნა 2018 წლის ბოლოს გამოაცხადა.

პოლიციამ ეჭვმიტანილების დაკავება ერთ-ერთი მაღაზიის ძარცვის დროს სათვალთვალო კამერებიდან მიღებული ინფორმაციის დახმარებით შეძლო.

ეჭვმიტანილების ბინებიდან პოლიციამ 9 ათასი ევრო, კომპიუტერები და მობილური ტელეფონები ამოიღო.

ანიტა რაჭველიშვილი TOP ათეულში მოხვდა

გამოცემა OperaWire-მა ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერის **2018-2019 წლების სეზონის საუკეთესო ათი შემსრულებელი დაასახელა.**

როგორც გამოცემა წერს, ამ დროისთვის მეტროპოლიტენ ოპერის 2018-19 წლების სეზონი ცნობილი ქართველი მეცო-სოპრანოს კარიერისთვის საუკეთესო სეზონი იყო. სეზონის განმავლობაში მსოფლიოს უდიდეს სცენაზე რაჭველიშვილმა რამდენიმე განუმეორებელი როლი შექმნა.

TOP ათეულში ანიტა რაჭველიშვილთან ერთად მოხვდა ასევე ცნობილი ამერიკელი საოპერო ვარსკვლავი, მეცო-სოპრანო ჯოის დიდონატო.

შეგახსენებთ, რომ მეტროპოლიტენ ოპერაში ანიტა რაჭველიშვილმა ვერდის ოპერებში „აიდასა“ და „ტრუბადურში“, კამილ სენ-სანსის „სამსონი და დალილაში“ და ფრანჩესკო ჩილეას „ადრიანა ლეკუვრში“ იმღერა.

ყოფილმა დეპუტატმა ომარ ნიშნიანიძემ გემი ააგო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა და ყოფილმა დეპუტატმა ომარ ნიშნიანიძემ გემის მშენებლობა თითქმის დაასრულა. ის გემის გაშვებას, რომელსაც „არგო“ უწოდა, მდინარე რიონში 31 მაისს, 17 საათზე გეგმავს.

ნიშნიანიძის თქმით, გემი ფოთიდან ქუთაისისკენ გაემგზავრება. გემზე მითიური გმირები გაცოცხლდებიან.

„ჩემი მიზანი კოლხეთის ისტორიის გაცოცხლებაა. თეატრალური სანახაობის შემდეგ, გემი ჩემ მიერ დაარსებულ არგონავტიკის მუზეუმში დაიდებს ბინას“, — განუცხადა საქართველოს პირველ არხს ომარ ნიშნიანიძემ.

მერვე მოწვევის პარლამენტის წევრმა „არგოს“ მშენებლობისა და ქუთაისში პორტის მშენებლობის იდეა 2013 წელს გამოთქვა. ომარ ნიშნიანიძე მაშინ ამ იდეის გამო საზოგადოებამ მწვავედ გააკრიტიკა.

რომის პაპი: ვინც კედელს აშენებს, საბოლოოდ იმ კედლების ტყვე ხდება, რომელსაც აშენებს

რომის პაპმა ფრანცისკმა ტელერახ Televisa-ს ინტერვიუში განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის იდეა მექსიკის საზღვარზე კედლის აშენებასთან დაკავშირებით მცდარია.

„ჩვენ უკვე ვიცოდით ერთი კედელი ბერლინში, რომელმაც დიდი თავის ტკივილი და ტანჯვა მოგვიტანა... ბავშვების მშობლებისგან ჩამოშორება ბუნებრივი სამართლიანობის წინააღმდეგ წასვლაა... ეს სისასტიკეა. ეს ერთ-ერთი უდიდესი სისასტიკეა. რას ვიცავთ? ტერიტორიას, ქვეყნის ეკონომიკას თუ რას?“ — განაცხადა რომის პაპმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რას ეტყოდა ის ტრამპს, მის წინაშე რომ მჯდარიყო, რომის პაპმა განაცხადა, იმავეს, რადგან ყველაფერს სახალხოდ ვამბობ... ასევე სახალხოდ ვამბობ, რომ ის, ვინც კედელს აშენებს, საბოლოოდ იმ კედლების ტყვე ხდება, რომელსაც აშენებს“, — აღნიშნა პაპმა.

პეპელა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს არ აზიანებს

საქართველოში **წელს შეინიშნება ფეხსახსრიანთა ტიპის მწერის ნარშავას ფრთაკუთხას (Vanessa cardui) პოპულაციის ზრდა, რაც მოსახლეობისთვის თვალშისაცემი გახდა. აღნიშნული პეპელა გადამფრენი მწერია. იგი მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული პეპლის სახეობაა და თითქმის ყველა კონტინენტზე გვხვდება. ნარშავას ფრთაკუთხა არ მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელს, მეტიც, მიიჩნევა, რომ სასარგებლო მწერის სახეობაა, რადგან ანადგურებს დიდი რაოდენობით სარეველას.**

გადაზამთრებული პეპლის ფრენა იწყება მაისის მე-2, მე-3 დეკადიდან (მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში მაისის პირველი დეკადიდან). საქართველოში წელიწადში 2-3 თაობას იძლევა. ბოლო თაობის იმაგოს ფრენა გრძელდება ოქტომბრამდე. ხშირად თაობა თაობას ფარავს და ერთდროულად შეიძლება შეგვხვდეს მავნებლის სხვადასხვა სტადია. მისი ბუნებრივი მტრები არიან ობობები, ხოჭოები, ჭიანჭველა, მღრღნელები და სხვა.

პეპლის ზომა გაშლილი ფრთებით 5-7 სმ-ია. ფრთები ზემოდან ღია აგურისფერ-მოწითალოა შავი ლაქებით.

იგი გვხვდება ყველგან — მდელოზე, ველზე, უდაბნოში, ბაღში განსაკურებით უყვარს დიდი გაშლილი, მზიანი სივრცეები.

ზაფხულის ბოლოს მილიონობით ნარშავას ფრთაკუთხა გეზს აფრიკის კონტინენტისკენ იღებს. უმეტესწილად, ისინი 500 მეტრ სიმაღლეზე მიფრინავენ, რის გამოც მათი დანახვა ადამიანის თვალისთვის თითქმის შეუძლებელია. პეპლები ელოდებიან იმ დროს, როცა ქარი სასურველი მიმართულებით დაუბერავს. ქარის დახმარებით ისინი 45 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილდებიან. ყოველწლიურად დაახლოებით 15 000 კილომეტრს ფარავენ. გადაფრენას იწყებენ ჩრდილოეთი არქტიკის საზღვრებიდან და ასრულებენ დასავლეთ აფრიკაში. ნარშავას ფრთაკუთხა გზადაგზა მრავლდება და მთელ ცხოვრებას ფრენაში ატარებს.

პეპელა ვერ უძლებს დაბალ ტემპერატურას და ადვილად იღუპება. მისი სასიცოცხლო ციკლი 2 თვეა.

მალაიზიის უკანასკნელი მამრი სუმატრული მარტორქა მოკვდა

მალაიზიაში ამ ქვეყნის ბინადარი უკანასკნელი მამრი სუმატრული მარტორქა, სახელად ტამი მოკვდა. მასთან ერთად, მალაიზიაში წერტილი დაესვა ამ სახეობასაც. ქვეყანაში ამჟამად მხოლოდ ერთი მდედრი სუმატრული მარტორქა, სახელად იმანი რჩება. დასრულდა მათი გამრავლების არაერთი წარუმატებელი ძალისხმევაც.

ტამი ავად აპრილის ბოლოს გახდა, სწრაფად დასუსტდა, დაკარგა მადა და ენერგია. 27 მაისს ტაბინის ველური ბუნების ნაკრძალში ტამმა უკანასკნელად ამოისუნთქა. ამ ნაკრძალში ის 2008 წლიდან ბინადრობდა, როცა ველურ ბუნებაში დაიჭირეს.

სიკვდილის ზუსტი მიზეზი უცნობია, მაგრამ როგორც ადრეული მტკიცებულებები მიუთითებს, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა მარტორქის თირკმლებისა და ღვიძლის მდგომარეობა. შესაძლოა, ამის მიზეზი ასაკი იყო; სუმატრული მარტორქების სიცოცხლის ხანგრძლივობა 35-40 წელია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7876; ევრო - 3.1182;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5338;
100 რუბლი - 4.3125; თურქული ლირა - 0.4611;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6397;
1000 სომხური დრამი - 5.8123.

ამინდი 30 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge